

დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი

ქართული ენა

VII კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2019 წელს



გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი
ქართული ენა VII
მოსწავლის წიგნი

დამკაზადონებელი
ვლადიმერ პერანიძე

გარეკანის დიზაინერი
ილია ხელაია

მხატვარი
ნინო მიქაბერიძე

კორექტორი
ნინო ბურასკაული

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 5
2 91-22-83, 5(93) 25-05-22
ელფოსტა: info.artanuji@gmail.com ვებგვერდი: www.artanuji.ge

© დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი, 2019
© გამომცემლობა „არტანუჯი“, 2019

ISBN 978-9941-487-12-5


სარჩევი

| | |
|--|----|
| შესავალი..... | 7 |
| ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები | 9 |
| დამწერლობისწინა საფეხურები | 11 |
| ქართული ენა და მისი დიალექტები | 13 |
| ქართული ანბანის მოკლე ისტორია | 15 |
| მეტყველების ნაწილები..... | 18 |
| ზმნა..... | 22 |
| ზმნის დრო, კილო, რიცხვი | 25 |
| ზმნის პირი | 30 |
| ოზიექტური პირი..... | 32 |
| ბარდამავლობა | 35 |
| სუბიექტური და ოზიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები..... | 38 |
| მკიმა ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან..... | 41 |
| ოზიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები..... | 43 |
| ზმნისწინი | 47 |
| ზმნის უღლება – სერიები და მწკრივები | 50 |
| ზმნის თემა და თემის ნიშნები | 53 |
| ზმნის კონტაქტი | 57 |
| გვარი | 60 |
| ზმნის ქცევა | 64 |
| თავისებური ზმნები | 67 |
| რთული ზმნები..... | 68 |
| სტილისტიკა | 69 |
| ვისწავლოთ რეცენზიის წერა | 71 |

პირობითი ნიშნები




დააკვირდი




გაიხსენა




იმსჯელე




დაასაბუთე




შეასრულე დავალება




სადისკუსიო კლუბი




იფიქრე და მივასუსხე




ლექსიკონი




იფიქრე



პროექტი




წაიკითხე



ჯგუფური სამუშაო




გაიაზრე



ზეპირი დავალება




იფიქრე და დააკავშირე



წერიტი დავალება




დამახსოვრე



ცნობისათვის

ენის სახელმძღვანელოში ბევრი სავარჯიშო შეგხვდება. გაითვალისწინე, რომ ყველა დავალება უნდა შეასრულო საშინაო დავალების რვეულში. ამის გამო ზოგჯერ მოგიწევს ცხრილის, კროსვორდის გადახაზვა-გადახატვა, რაც, დარწმუნებულნი ვართ, არ დაგეზარება. ამით შენ დაიცავ ნიგნს, რომელიც სხვასაც გამოადგება.

ნიგნში არაფერი ჩანერო და ჩახატო. ყველაფერს აკეთებ რვეულში!



„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს. ისე მდიდარია ქართული ენა, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“.

ნიკო მარი

- რაზე იქნება შენი სახელმძღვანელო?
- ყველაფერზე, რაც კი უკავშირდება ენას, სიტყვას, მეტყველების კულტურას!

ადამიანთა უმეტესობა ფიქრობს, რომ გრამატიკა მოსაწყენი წესების ერთობლიობაა, რომელთა გაგებაც ხშირად ძალიან რთულია, შენც ასე ფიქრობ?

ჩვენ შევეცდებით მარტივად, საინტერესოდ გესაუბროთ გრამატიკის შესახებ და ასე დაგიმსხვრიოთ მითი გრამატიკის სირთულის შესახებ. იქნებ, გადაგაფიქრებინოთ, რომ გრამატიკა მოსაწყენია.



სანამ გრამატიკულ წესებსა და კანონზომიერებებზე დავიწყებდეთ საუბარს, ალბათ, უპრიანი იქნება, ჯერ გავარკვიოთ, რა არის გრამატიკა, საიდან მოდის, რატომ არის საჭირო ეს მეცნიერება.

მაშ, ასე, დავიწყოთ:

გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია, რომელიც სწავლობს ენის აგებულების საკითხებს, სიტყვათა შედგენილობას, მათ ფორმასა და ფუნქციას.

გრამატიკა ენის წესების კრებულია.
რა არის ენა?

ენა არის **აბსტრაქცია** და ცოცხლდება მაშინ, როცა ჩვენ მას ვიყენებთ.

ენა ადამიანს ეხმარება აზრის გაფორმებაში, გასაგებს ხდის მას (აზრს).

ენა არა მხოლოდ გამოხატავს, იგი წარმართავს და აყალიბებს კიდევ ჩვენს შეგნებას, ანუ ჩვენ ვართ ის, რასაც ვამბობთ.

ენა ჩვენი სახლია, ყოფიერების სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ, გრამატიკა კი სწავლობს ენის აგებულების საკითხებს, სიტყვათა შედგენილობას, მათ ფორმასა და ფუნქციას.

არავინ იცის, როდის წარმოიშვა ენა, ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა ბოლოდროინდელი მონაცემებით, იგი 70 000-ზე მეტი ხნისაა, ზუსტად ამის შესახებ მსჯელობა რთულია. ფაქტია, რომ ადამიანი იმიტომ აზროვნებს, რომ მეტყველებს და პირიქით. საინტერესოა არა? ნეტავ პირველად როგორ ამეტყველდა ადამიანი. თუმცა, დავანებოთ ენას თავი და გრამატიკას დავუბრუნდეთ.


თუ დავუკვირდებით, ძალიან საჭირო და გამოსადეგი საგანი ყოფილა. გამოდის, რომ გრამატიკა დაგვეხმარება, ვისაუბროთ და ვწეროთ შეცდომების გარეშე. ტერმინი „გრამატიკა“ ბერძნული წარმოშობისაა. **გრამმა** ნიშნავს ასოს, წერილობით ნიშანს. თავდაპირველი გაგებით, გრამატიკა იყო ხელოვნება, რომელიც ასწავლიდა **„სწორ ლაპარაკს და კანონიერ წერას“**, გრამატიკოსი იყო წერა-კითხვის მასწავლებელი.

უკვე გითხარით და იცი, რომ გრამატიკა ენათმეცნიერების დარგია. თითოეულ მეცნიერებას თავისი ისტორია აქვს, მათ შორის, ენათმეცნიერებასაც. მის განვითარებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ძველი ინდოეთისა და ძველი საბერძნეთის ფილოლოგიამ. ჩვენამდე მოღწეული უძველესი გრამატიკული ნაშრომი – შუმერული ენის გრამატიკული აღწერა – დაახლოებით ოთხი ათასწლეულის წინ შეიქმნა, ხოლო გრამა-

ტიკა, როგორც მეცნიერება, ძველ ინდოეთში ძვ. წ. V საუკუნეში ჩამოყალიბდა. დაახლოებით მეორე და პირველი საუკუნეების მიჯნაზე იქმნება ბერძნული გრამატიკა. საბერძნეთმა, მითებისა და ლეგენდების, ღმერთებისა და პოეზიის ქვეყანამ, დემოკრატის, უდიდესი ფილოსოფოსების სიბრძნისა და ოლიმპიური თამაშების გარდა, მსოფლიოს გრამატიკული ტერმინებიც აჩუქა.

სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ცნობები იმის შესახებ, თუ ვინ დაამკვიდრა ტერმინი „გრამატიკა“ ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. არც ის ვიცით, ვინ იყო პირველი გრამატიკოსი ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით.



ვინ შექმნა და როდის ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო, შემდეგ გაკვეთილზე შეიტყობ.



1. რომელი მეცნიერების დარგია გრამატიკა?
2. ვის უწოდებდნენ ძველ საბერძნეთში გრამატიკოსს?
3. რა აკავშირებს ერთმანეთთან საბერძნეთსა და გრამატიკას?



1. მოიძიე სიტყვა **აბსტრაქციის** განმარტება და შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რა არის ენა.
2. როგორ ფიქრობ, ცხოველებს აქვთ ენა? ნებისმიერი პასუხი დაასაბუთე.
3. მოიძიე ინფორმაცია ფუტკრებისა და დელფინების საინფორმაციო შეტყობინებების შესახებ;
4. როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ საინფორმაციო შეტყობინებების, უესტებისა თუ დანაწევრებული ხმოვანი სიგნალების ერთობლიობას ენა ეწოდოს?



ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები

ვფიქრობთ, შენთვის საინტერესო იქნება, ვინ შექმნა ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო. რამ უბიძგა ამისკენ? როდის გადაწყვიტა? რატომ? რისთვის?

ალბათ, გაინტერესებს, რატომ დავსვით ამდენი კითხვა, განა მართლად არ შეიძლება პასუხის გაცემა? რატომ იწყება გაკვეთილი რომელიღაც იტალიური წიგნის ფოტოთი?


გგონია, დეტექტივობანას გეთამაშებით და შერლოკ ჰოლმსისა და მოცეკვავე კაცუნებისა არ იყოს, შენგანაც ველით, ამოიკითხო ფოტოზე წარმოდგენილი წიგნის სათაური? სულაც არა!

ეს ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოს ყდაა. დიახ, დიახ, არაფერი გეჩვენება, ქართული ენის გრამატიკის პირველი ავტორი და გამომცემელი იტალიელი ფრანცისკო-მარია მაჯოა. მან XVII საუკუნეში საქართველოში მისიონერული მოღვაწეობისას საფუძვლიანად შეისწავლა ქართული ენა და დაწერა გამოკვლევა ჩვენი ენის გრამატიკის შესახებ. ფრანცისკო-მარია მაჯოს წიგნი „ქართული ენის გრამატიკა“ გამოიცა რომში 1670 წელს. ეს ნაშრომი ქართული ენის პირველი დღემდე ცნობილი გრამატიკაა. ამავე დროს, იგი წარმოადგენს პირველ გრამატიკას საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენობრივ სამყაროში.


ფრანცისკო-მარია მაჯო საქართველოდან იტალიაში დაბრუნებისას თავის თავს ადარებდა „ოქროს სანძისის ნადავლით აღჭურვილ ახალ არგონავტს“.

გაინტერესებს, როდის და რომელმა ქართველმა მეცნიერმა დაიწყო ქართული ენის გამოკვლევა?

XI საუკუნის II ნახევრის ქართველმა ფილოლოგმა, ფილოსოფოსმა, მთარგმნელმა ეფრემ მცირემ ჩამოაყალიბა საკუთარი მთარგმნელობითი თეორია, შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია, რომელთაგან მრავალი დღესაც გამოიყენება. ეფრემმა შემოიღო პუნქტუაციის საკუთარი სისტემა, რომელიც დაკანონდა ქართულ მწერლობაში. ეფრემ მცირემ დაწერა XI საუკუნეში ჩვენამდე მოღწეული პირველი გრამატიკული ტრაქტატი ქართული სამწიგნობრო ენის შესახებ „სიტყუა ართრონთათვის“. ასე რომ, ეს არის უტყუარი საბუთი იმისა, რომ ქართველებს XI-XII საუკუნეებში



„მაჯოს სისტემატურმა დაკვირვებამ ქართული ენის გრამატიკული ნყოფის სპეციფიკაზე და კვლევის მის მიერ გამოქვეყნებულმა მეთოდმა, რომელიც ლინგვისტური მეცნიერების მაშინდელ დონეს შეესაბამებოდა, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერის ნაშრომს იმასთან შედარებით, რაც მას სასულიერო უწყების შეზღუდული მიზანსწრაფვით ევალეზობდა. ამასთანავე, ენათმეცნიერების ისტორიაში მაჯოს ნაშრომი არის ქართული ენის თავისებურებათა შესწავლის პირველი ცდა ქართული ენისა, რომელსაც ასე ნაკლებად იცნობდნენ XVII საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპაში“ (არნოლდ ჩიქობავა, ჯუანშერ ვათეიშვილი)



აკაკი შანიძე

ქართული ენა და აკაკი შანიძე ერთგვარ სინონიმებად იქცა. მეცნიერი, რომელსაც ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის თითქმის ყველა დარგში ჰქონდა მნიშვნელოვანი, საეტაპო შრომები, ქართული ენის დაცვის, შესწავლის, განვითარების, სისტემატიზირების მთავარი სიმბოლოა. ქართული ენა, დამწერლობა, დიალექტოლოგია, ქართველური ენები, ძველი ქართული ხელნაწერები, ეპიგრაფიკა, რუსთველოლოგია, ფოლკლორი – ალბათ ჩამონათვალი უსასრულო იქნება. მეცნიერი, რომელიც ქართული უნივერსიტეტისა და ქართველოლოგიის სათავეებთან დგას, ერთგვარად საფუძველს უყრის და განაპირობებს მომავალ კვლევებს, ქართულ ლინგვისტურ აზროვნებას. დღესაც ქართულ ენასთან დაკავშირებული თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, ახალი მიდგომები და პროექტები წარმოუდგენელია მისი კვლევების გათვალისწინების გარეშე...

ჰქონდათ გრამატიკული ლიტერატურა“ (მზექალა შანიძე).


შემდეგ უკვე ანტონ კათალიკოსი წერს წიგნს „ქართული ღრამმატიკა“ (1753, 1767 წწ.), რომელიც ეფუძნება წინამორბედთა გამოცდილებას და საფუძვლიან ენობრივ ანალიზს წარმოადგენს; თედო უთურგაიძის აზრით, ანტონ პირველი უნდა მივიჩნიოთ „ქართული ენის ადეკვატური გრამატიკული სისტემის პირველ შემქმნელად“.

ამას მოჰყვება გაიოზ რექტორის „ქართული ანბანი“ და „ქართული ენის გრამატიკა“ და ა. შ.

ქართული ენის შესწავლაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აკაკი შანიძეს, რომელმაც 1930 წელს გამოაქვეყნა „ქართული გრამატიკა (მორფოლოგია)“; ფასდაუდებელია ასევე არნოლდ ჩიქობავას წვლილი ქართული ენის შესწავლაში.



არნოლდ ჩიქობავა



1. ვინ დაწერა ქართული ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელო?
2. რატომ მიაჩნდა ფრანცისკო-მარია მაჯოს თავი ახალ არგონავტად?
3. ვინ იყო ეფრემ მცირე და რა დამსახურება აქვს მას ქართული ენის განვითარებაში?
4. რა არის იმის უტყუარი საბუთი, რომ „ქართველებს XI-XII საუკუნეებში ჰქონდათ გრამატიკული ლიტერატურა“?
5. ვინ მიიჩნევა ქართული ენის ადეკვატური გრამატიკული სისტემის პირველ შემქმნელად?



მოიძიე ინფორმაცია აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას შესახებ და გააცანი თანაკლასელებს. რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ენას თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიის განვითარების საქმეში?

დამწერლობის წინა საფეხური

ბგერის, მარცვლის, სიტყვის, გამონათქვამის სიმბოლოებს დამწერლობაში გრაფიკული ნიშნები წარმოადგენს. ადამიანს წერა ერთბაშად არ დაუწყია. პირველყოფილი ადამიანები ერთმანეთთან მხოლოდ მეტყველებით ურთიერთობდნენ, თუმცა თანდათან ჩნდება წერა-კითხვის საჭიროება და აუცილებლობა.

საინტერესოა, რა ასრულებდა კაცობრიობის განვითარების უძველეს საფეხურზე წერის მაგივრობას?

პირველყოფილ ადამიანებში საგნების საშუალებით ხდებოდა „აზრის გადაცემა“. არსებობდა სხვადასხვა სიმბოლიკა: ქვა ნიშნავდა მაგარს, გამძლეს, ნახშირი – შავს, მწუხარებას, პილპილი – მწვავეს, მოუთმენელს, ცნობისმოყვარეს. გამხმარი თავთავი – ტანჯვას, ტკივილებს, ჩვარი – ცუდ მდგომარეობას და მისთანანი. პირველყოფილი ხალხები როცა ერთმანეთს ომს უცხადებდნენ, ნიშნად ამისა, უგზავნიდნენ შუბებს, ისრებს ან სხვა საომარ იარაღს; ეს იყო მათი „წერილი“, მათი შეტყობინება ომის დაწყების შესახებ. სამშვიდობო მოლაპარაკებისას კი ყალიონს ჩამოატარებდნენ ხოლმე, რომელიც გადადიოდა ხელიდან ხელში, ყალიონი გამოხატავდა მშვიდობას. სურვილებისა და აზრების გასაზიარებლად ცხოველებსაც იყენებდნენ.

პირველყოფილი ადამიანები იწყებენ ხატვას. ხატვის საშუალებით გაცილებით მეტის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს მაინც არაა წერა. ნახატ „ნაწერს“ ვუნოდებთ პიქტოგრამებს, ზოგჯერ იეროგლიფებს. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პიქტოგრამები – მხოლოდ ნახატებია, იეროგლიფები კი შეიცავს გეომეტრიულ და სხვა ელემენტებსაც.

პიქტოგრამები გვაცნობენ ერთ რომელიმე ამბავს. ისინი შეიცავენ სიყვარულის ახსნას, მონადირეების ცნობებს, საომარი შეტაკებებისა და ლაშქრობის ცნობებს... პიქტოგრამა წერის პირველი საფეხურია.

შემდგომი საფეხურია იდეოგრაფია, რომელიც პიქტოგრაფიის ლოგიკური განვითარებაა. თუ წინათ მთელი წინადადებები ერთი ნახატით „გამოითქმოდა“, თანდათანობით ნახატი ერთი სიტყვის ეკვივალენტი ხდება, ადამიანი უკვე სიმბოლოებს მიმართავს, „წერის“ ნიშნებს პირობითი ხასიათი ენიჭება.¹


საქართველოში, გრაკლიანის გორაზე, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უნიკალური წარწერა, რომელიც აშშ ლაბორატორიამ ძვ. წ. XI-X საუკუნეებს მიაკუთვნა. იგი გახლავთ უძველესი და უნიკალური მონაპოვარი საქართველოსა და მთელი მსოფლიოსათვის. გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილია ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ. წ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხევლით, რომელზეც ჩვენთვის უცნობი ტექსტებია, წარწერა უნიკალური და ინდივიდუალურია.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 2700-3000 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხში დამწერლობა არსებობდა. გრაკლიანის გორაზე მდებარე ტაძარში გამართულია ორი საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე საკმაოდ კარგად შემონახულია წარწერა.

პიქტოგრამა – ხატოვანი დამწერლობა, აზრის გამოხატვის უძველესი საშუალება ნახატის მეშვეობით.

იეროგლიფი – 1. იდეოგრაფიული დამწერლობის ფიგურული ნიშანი, რომელიც გამოხატავს ცნებას, მარცვალს ან ბგერას; 2. გადატ. ძნელად გასარჩევი, გაუგებარი ნიშანი, ასო, ნაწერი.

¹ შოთა ძიძიგურის საენათმეცნიერო საუბრების მიხედვით, თბილისი, 1982 წ.




1. მოიძიე ინფორმაცია პიქტოგრაფიული და იეროგრაფიული ნიშნების შესახებ.
2. ჩაატარე მოკვლევა გრაკლიანის გორისა და მასზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნიშნების შესახებ.
3. მოიძიე ინფორმაცია უძველესი ბერძნული და ქართული წარწერების შესახებ.
4. შეეცადე, პიქტოგრამის მეშვეობით გადმოსცე რაიმე ამბავი.

თანამედროვე პიქტოგრამები

ყოველდღიურად აწყდები პიქტოგრამებს, რომლებსაც იყენებ ისე, რომ ხშირად არც კი ფიქრობ მათზე.

რაზე ვლაპარაკობთ?

რაზე და სიცილაკებსა თუ ღიმილაკებზე, ე. წ. „სმაილებზე“, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სატელეფონო შეტყობინება თუ დიალოგი რომელიმე სოციალურ ქსელში. ხშირად, ვირტუალური ურთიერთობისას, სიტყვა ჩანაცვლებულია ასეთი ნიშნებით. ამ ნიშანთა ფსიქოლოგიური, ხასიათობრივი, თემატური და კონტექსტური მრავალფეროვნება კიდევ უფრო ამარტივებს ამ სახის კომუნიკაციას. თანაც, ამ პიქტოგრამებით შეგვიძლია ნებისმიერ ენაზე მოსაუბრეს გავაგებინოთ, რისი თქმა გვსურს.



აღწერე შენი დილა პიქტოგრამების საშუალებით.



ქართული ენა და მისი დიალექტები

ყველა ცოცხალ არსებას აქვს ენა. ინფორმაციის გაცვლა შეუძლიათ ჩიტებს, ძაღლებს, დელფინებს... ოღონდ მხოლოდ ბგერებით. ადამიანის მეტყველება კი დანაწევრებულია სიტყვებად, რომლებიც მიღებულია ბგერებისაგან. ადამიანის წარმოშობასთან ერთად, მეცნიერებისათვის ამოუცნობია თავდაპირველი ენის შექმნის საიდუმლოება. დედამიწის მოსახლეობის ენათა რაოდენობა ზუსტად არ არის ცნობილი.

საინტერესოა, რომ ადამიანების მსგავსად ენებსაც აქვს ოჯახი, ნათესაობა. შეიძლება არც დაიჯერო, მაგრამ საერთო წარმოშობის ენები ენათა ოჯახს ქმნიან, ამგვარ ოჯახებში გაერთიანებულ ენებს კი მონათესავე ენები ეწოდება.

მსოფლიოში არსებობს ენათა რამდენიმე ოჯახი (მაგალითად, ინდოევროპული, სემიტური, თურქულ-ალთაური...). ქართული ენა სვანურსა და მეგრულ-ლაზურთან ერთად ქართველურ ენათა ჯგუფს ქმნის, რომელიც ერთიანდება მთის კავკასიურ ენებთან იბერიულ-კავკასიური ოჯახის სახით.

ქართული ენა მრავალსაუკუნოვანი დამწერლობის მქონე და მკაცრად ნორმალიზებული ერთ-ერთი უძველესი ენაა, რომლის ფორმირებაში ყველა კუთხის მოსახლეობა მონაწილეობდა. თუმცა საქართველოს ყველა კუთხეს მისთვის დამახასიათებელი მეტყველება აქვს, რომელსაც დიალექტი, ანუ კილო ეწოდება.

ჩვენი ქვეყნის, საქართველოს, სახელმწიფო ენაა ქართული (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, მასთან ერთად სახელმწიფო ენად აღიარებულია აფხაზური ენა).

ქართულ ენას აქვს შემდეგი დიალექტები: აჭარული, გურული, თუშური, იმერული, იმერხეული, ინგილოური, კახური, ლეჩხუმური, მთიულურ-გუდამაყური, მოხეური, რაჭული, ფერეიდნული, ქართლური, ხევსურული, მესხური (სამცხე-ჯავახური), ფშაური.

„ქართველთა ეროვნული გადაგვარების მოსურნეთ უწინარეს ენაზე მიჰქონდათ ხოლმე იერიში“ (ბესარიონ ჯორბენაძე).

ქართულ ენას მრავალგზის დამუქრებია საფრთხე: მომხდური ცდილობდა ქართველობისათვის დაევიწყებინა საკუთარი წარსული, კულტურა და ენა...

XX საუკუნეში ბოლო საშიშროება შეიქმნა 70-იან წლებში კომუნისტური იმპერიის მიერ.

რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანებს მშობლიურ ენას ართმევენ?

ინყება ბრძოლა, ბრძოლა დედაენის დასაცავად.

ასე მოხდა საქართველოში 1978 წლის 14 აპრილს. მაშინ ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. საბჭოურმა ხელისუფლებამ მოსკოვში გადაწყვიტა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენად ყოფილიყო არა ქართული, არამედ რუსული ენა.

ამან დიდი მღელვარება გამოიწვია ქართველებში. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინ, ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა. მათ შორის ბევრი სტუდენტი იყო. „დედაენა! დედაენა!“ ყვიროდნენ მიტინგეები და ითხოვდნენ, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული ჩაწერილიყო.


ასეთ საპროტესტო გამოსვლებს მთავრობა ყოველთვის სისხლში ახშობდა. მაშინაც




ბევრი მოელოდა, რომ მომიტინგეებს ტყვიებს დაუშენდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ ეს ველარ გაბედა. მოსკოვმა უკან დაიხია.

გადარჩა ხალხი. გადარჩა ქართული ენაც.


14 აპრილი საქართველოში დედაენის დღედ დაწესდა. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გაიხსნა დედაენის პარკი. ამავე პარკში დაიდგა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ ძეგლი (ავტორები ელგუჯა ამაშუკელი და ნოდარ მგალობლიშვილი).



1. რას ეწოდება დიალექტი?
2. რამდენი დიალექტი აქვს ქართულ ენას?
3. შეეცადე ქართული ენის დიალექტები დააჯგუფო გეოგრაფიული არეალის მიხედვით (შეადგინე ცხრილი).
4. შენი აზრით, განსხვავდება თუ არა ქალაქის მოსახლეობის მეტყველება უბნების მიხედვით? (დაასაბუთე შენი მოსაზრება)




1. შეადგინე საქართველოს დიალექტოლოგიური რუკა.
2. მოიძიე ინფორმაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულ დიალექტებზე.
3. შედი ქართულ დიალექტურ კორპუსში, მისამართზე corpora.co და მოძებნე შენი კუთხის დიალექტური ტექსტები.



რომელ წინადადებაშია გამოყენებული დიალექტური ფორმები?

1. წიგნში დაბეჭდილი მინიატურები ერთგვარი საგალობლებია.
2. დედა და უმცროსი ძმა საინტერესო სპექტაკლზე წავიდნენ.
3. ამბობენ, ერთხელ გალაკტიონს თავს დაესხნენ და პალტო წაართვესო.
4. გადასახადი მიაწერეს გოგიას, არ ქონდა საშვალება, რომ გადიეხადა. აფერი არ ქონდა.



„ჩემი კუთხის დიალექტი“

- წინასწარ მოიპოვე ინფორმაცია შენი კუთხის დიალექტის შესახებ;
- ჩამწერი მონყობილობის საშუალებით ჩაინერე ამ დიალექტზე მოსაუბრეთა მეტყველება;
- გამოყავი დიალექტის დამახასიათებელი 3 ნიშანი (მაგალითად, საუბრის ტემპი, ლექსიკური განსხვავებები და ფონეტიკური თავისებურებები).
- გაუზიარე შენი კვლევის შედეგები სხვას.

ქართული ანბანის მოკლე ისტორია

თანამედროვე მსოფლიოში 4000-მდე ენაა.

ენათა უმრავლესობას აქვს საკუთარი დამწერლობა, მაგრამ არა აქვს თავისი, ორიგინალური ანბანი.

კაცობრიობის ისტორიაში ჩვენამდე მოღწეული პირველი ანბანური დამწერლობა შექმნეს ფინიკიელებმა დაახლოებით 3500 წლის წინ.

ფინიკიურის საფუძველზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე IX-VIII საუკუნეში შეიქმნა ბერძნული ანბანი, რომელმაც სათავე დაუდო სხვადასხვა ანბანს.

ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ქართული ანბანი ქრისტემდე დიდი ხნით ადრე შეიქმნა ფინიკიურ-სემური დამწერლობის საფუძველზე. ამ აზრს იზიარებს რევაზ თვარაძეც.


პავლე ინგოროყვას აზრით, ქართული ანბანი ბერძნულის გავლენით შეიქმნა.

კორნელი კეკელიძისა და თამაზ გამყრელიძის მტკიცებით, ქართული დამწერლობა შეიქმნა ქრისტეს შემდეგ IV-V საუკუნეებში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად.

ახლა ჯერი შენზეა, შეიძლება წლების შემდეგ სწორედ შენ გამოიკვლიო და ნათელი მოჰფინო, როდის და როგორ შეიქმნა ქართული დამწერლობა.

ქართულ დამწერლობას სამი გრაფიკული ნაირსახეობა აქვს: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული.




ჩვენ დღეს მხედრული ანბანით ვწერთ.



1. ვინ, როდის და სად შექმნა მსოფლიოში პირველი ანბანი?
2. იმსჯელე ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ.
3. რამდენი სახის ანბანია ქართულ დამწერლობაში?



1. მოიძიე დამატებითი ინფორმაცია ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის შესახებ.
2. შეეცადე, იპოვო მსგავსება თანამედროვე ქართულ ანბანს (მხედრული), ასომთავრულსა და ნუსხურს შორის.



- მოწყვეთ თქვენს სკოლაში ქართული შრიფტის კონკურსი, დახატეთ ქართული ასოები, მოამზადეთ პლაკატები და გამოფინეთ;
- აღნიშნეთ ქართული ანბანის დღე, მოხატეთ მაისურები;
- ესტუმრეთ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ მუზეუმს.

| | | | |
|---|---|---|-----|
| ሀ | ጥ | ኗ | 1 |
| ቦ | ያ | ሞ | 2 |
| ጦ | ኃ | ሞ | 3 |
| ዶ | ጆ | ጆ | 4 |
| ገ | ገ | ሞ | 5 |
| ገ | ገ | ሞ | 6 |
| ገ | ከ | ኑ | 7 |
| ገ | ከ | ኑ | 8 |
| ገ | ጠ | ጠ | 9 |
| ገ | ጠ | ኑ | 10 |
| ገ | ከ | ኑ | 20 |
| ገ | ጠ | ሞ | 30 |
| ገ | ገ | ከ | 40 |
| ገ | ከ | ገ | 50 |
| ገ | ገ | ኑ | 60 |
| ገ | ጠ | ገ | 70 |
| ገ | ጠ | ኑ | 80 |
| ገ | ሞ | ሞ | 90 |
| ገ | ጠ | ገ | 100 |

| | | | |
|---|---|---|-------|
| ገ | ከ | ገ | 200 |
| ገ | ገ | ገ | 300 |
| ገ | ሞ | ሞ | |
| ገ | ጠ | ገ | 400 |
| ገ | ጠ | ጠ | 500 |
| ገ | ሞ | ገ | 600 |
| ገ | ጠ | ገ | 700 |
| ገ | ሞ | ሞ | 800 |
| ገ | ጠ | ጠ | 900 |
| ገ | ጠ | ገ | 1000 |
| ገ | ጠ | ጠ | 2000 |
| ገ | ጠ | ጠ | 3000 |
| ገ | ጠ | ጠ | 4000 |
| ገ | ጠ | ጠ | 5000 |
| ገ | ጠ | ጠ | 6000 |
| ገ | ጠ | ጠ | 7000 |
| ገ | ጠ | ጠ | 8000 |
| ገ | ጠ | ጠ | 9000 |
| ገ | ጠ | ጠ | 10000 |


მეტყველების ნაწილები

ახლა დავეუბრუნდეთ ქართული ენის გრამატიკის შესწავლას. ჩვენ ხომ გადავწყვიტეთ, ვწეროთ და ვიმეტყველოთ გამართულად, შეძლებისდაგვარად უშეცდომოდ, ამაში კი გრამატიკა დაგვეხმარება.

გრამატიკა (ბერძ.) – ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი, მეცნიერება ამა თუ იმ ენის შესახებ, რომელიც შედგება მორფოლოგიისა და სინტაქსისგან.

მორფოლოგია (ბერძ.) – სიტყვათა ფორმებს სწავლობს.

სინტაქსი (ბერძ.) – წინადადების აგებულებასა და სიტყვათა შეკავშირების წესებს აკვირდება.



მორფოლოგია და სინტაქსი უმთავრესი ტერმინებია. შევეცადოთ, გრამატიკის ეს ნაწილები მისი შვილებად წარმოვიდგინოთ, რომლებსაც აქვთ ოჯახები (ბრუნება, უღლება, ქვეწყობა, თანწყობა...), ჰყავთ შვილები (ბრუნვები, დრო, კილო, ასპექტი, მართვა, შემასმენელი...), თითოეული მათგანი კი გამოირჩევა თავისი ინდივიდუალობით, თავისებურებებით.

თუ ჩვენ გრამატიკას მივუდგებით არა „მშრალად“, არამედ შემოქმედებითად, ბევრად გაგვიადვილდება მისი ჯერ გაცნობა და შემდეგ შესწავლა.

ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზისას ხომ ვცდილობთ პერსონაჟის ხასიათის ყველა კუთხით წარმოჩენას, მისი სულის სიღრმეებში ჩაძვრომასა და ჩანვდომას, ჰოდა, ერთად ვცადოთ ეს გრამატიკაშიც.

მაშ, დავიწყოთ – გვაქვს ასო-ბგერები, რომლებიც გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე ქმნის სიტყვებს, ხოლო სიტყვები კი – სხვადასხვა აგებულებისა და შინაარსის წინადადებებს.



თუ არ დავიცავთ გრამატიკულ წესებს, მივიღებთ ქაოსს, რომელიც უფრო მეტად დამლუპველი იქნება სამყაროსათვის, ვიდრე ატომური ბომბი. რატომ? წარმოვიდგინოთ ქიმიკოსი, რომელმაც ახალი ნივთიერება აღმოაჩინა, მაგრამ ფიზიკოსს ვერ აუხსნა სწორად, რადგან მათ „გრამატიკულ ქაოსს ვერ დააღწიეს თავი“ და სასარგებლოს ნაცვლად მიიღეს გამანადგურებელი ნივთიერება.

წარმოვიდგინოთ ფრაზა – „დამიჯერეთ, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ!“ გრამატიკული წესების გარეშე:

1. ასო-ბგერების ქაოსი – ნთქე ემ თხრიყარმავ!
2. სიტყვათა ქაოსი – თქვენ ძალიან მე მიყვარს!
3. წინადადებათა ქაოსი – ძალიან თქვენ დამიჯერეთ, მე მიყვარხართ!

მოკლედ, აუცილებელია გრამატიკული წესებისა და კანონების დაცვა!


მიიჩნევენ, რომ ქართული გრამატიკა რთულია, თუმცა ქართულ ენაში გრამატიკული ტერმინები თავად გვიხსნიან, რაზეა საუბარი. ცოტათი თუ დავაკვირდებით შინაარსობლივადაც, მივხვდებით, რასთან გვაქვს საქმე.

მნიშვნელოვანი დებულება

ენა მწყობრი, დალაგებული, წესებითა და ლოგიკური მიმდევრობით აღჭურვილი სისტემაა. აქ ყველაფერს თავისი მიზეზი და მიზანი აქვს.

ქართული ენა, ევროპული ენებისგან განსხვავებით, არ ითხოვს სიტყვათა აუცილებელ რიგს, თუმცა გარკვეული ლოგიკა და წესები აქაც უნდა გაითვალისწინო.

როგორც უკვე ითქვა, ენაში არსებობს მეტყველების ნაწილები. ეს ნიშნავს, რომ ამ სიტყვათა მეშვეობით ვმეტყველებთ. ამათგან ზოგი (მორფოლოგიური თვალსაზრისით) ფორმას იცვლის, ზოგი – ვერა. სინტაქსური თვალსაზრისით ზოგი დამოუკიდებელია, ზოგი – არა. ენაში არსებული სიტყვათა მარაგი, ლექსიკურ ერთეულთა რაოდენობა განუსაზღვრელია. სიტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდება გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური), ლექსიკოლოგიური, სემანტიკური თვალსაზრისით. სწორედ ამ ნიშანთა საფუძველზე ხდება სიტყვათა დაჯგუფება. ქართულში გამოიყოფა 10 მეტყველების ნაწილი:




დარწმუნებულნი ვართ, იცი, მაგრამ მაინც ერთად გავიხსენოთ, რომ მეტყველების ნაწილები ორ ჯგუფად იყოფა: სრულმნიშვნელობიან (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა) და დამხმარე (თანდებული, კავშირი, ნაწილა-

კი, შორისდებული) სიტყვებად. სრულმნიშვნელობიან სიტყვებს კითხვები დაესმის. ისინი წინადადების წევრებად გვევლინებიან. დამხმარე სიტყვებს კითხვა არ დაესმის და წინადადების წევრობა არ შეუძლიათ. სხვა მეტყველების ნაწილებისგან განსხვავდება შორისდებული, მას გამომეტყველების ფუნქცია ეკისრება, რადგან გამოხატავს გრძნობებს, ემოციებს ისე, რომ მათ არ აკონკრეტებს, არ ასახელებს.

შორისდებული განკერძოებულია, ანუ ცალკე მდგომია, ზოგჯერ იგი სიტყვასთან არ არის შეკავშირებული; ზოგჯერ ასრულებს სიტყვა-წინადადების როლს.

მაგალითად: ახ, ახ, საბრალონი! ოხ, როგორ მომწონს ! ვაი, რომ ვერ მოვასწარი!



1. რვეულში გადახაზე მოცემული ცხრილი და შეავსე ტექსტში მოძიებული მეტყველების ნაწილებით, რომლებსაც დააჯგუფებ **სრულმნიშვნელობიან** და **დამხმარე** სიტყვებად.

გაიზარდა ამირანი, ისეთი ღონიერი გახდა, მიწას უმძიმდა მისი ტარება. უსუსუნი და ბადრი მშვენიერები იყვნენ. უსუსუს ბეჭებს შუა მზე ეხატა. ბადრის – მთვარე. ამირანს შორეული ქალი ყამარი შეუყვარდა. ის ელანდებოდა სიზმარშიც და ცხადშიც.

ბადრის თეთრონი სთხოვა: უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად ნავალ, თქვენ თუ წამოხვალთ და ასეთ სიკეთეს მიზამთ, ზღვის გამოღმა მომიცადეთ, ზღვას გავალ და მე მოვიყვანო.

| სრულმნიშვნელობიანი | დამხმარე |
|--------------------|----------|
| | |
| | |
| | |
| | |

გავიხსენოთ მეტყველების ნაწილები:


ერთად გავიხსენოთ, რას გამოხატავენ მეტყველების ნაწილები.

არსებითი სახელი, რომელიც არსებობს, არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ მას ვხედავთ თუ ვერა, ვეხებით თუ ვერა, მთავარია, რომ არსებობს. მაგალითად, არსებითი სახელებია: ქვაც და ცაც, ადამიანიც და სიყვარულიც, ბუხარიც და სიცივეც...

ზედსართავი სახელი – „ზედ დაერთვის“ არსებით სახელს და გვიჩვენებს, როგორია, სადაურია, როდინდელია ის (სახელი): დიდი ქვა, ლურჯი ცა, კეთილი ადამიანი, წრფელი სიყვარული...

რიცხვითი სახელი გვიჩვენებს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს: ოთხი ქვა, მეშვიდე ცა, დედამიწის მეთათედი...

ნაცვალსახელი არის სიტყვა, რომელიც შეგვიძლია ვიხმაროთ რომელიმე სახელის ნაცვლად: მე, მან, ეს, ვინ, რომელი, როგორი, ყველა...






ტექსტში იპოვე და ამონერე დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილები და თითოეულ მათგანს დაუსვი შესაბამისი კითხვა:

შეეცოდა ბაბუაჩემი მეზუფეტეს. გარეთ რომ გამოვდიოდი, თვალი მოვკარი, ის ძალი ისევ შეიძურნა სასადილოში. სოფლის გზას დავადექი, ათი ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, ძაღლის, ენით აუნერელი კივილი მომესმა. უცებ შლიგინით ჩამიქროლა გადარეულმა ძაღლმა, ხიდის ქვეშ წყალში შევარდა, მერე ამოვარდა წყლიდან, სილაზე დაგორდა და საცოდავ წკავნკავს მოჰყვა.

რვეულში გადახაზე და შეავსე კროსვორდი



| | | | | | | | | | |
|----|----|---|--|---|--|--|--|--|--|
| 1. | | | | გ | | | | | |
| | 2. | რ | | | | | | | |
| 3. | | | | ა | | | | | |
| | 4. | მ | | | | | | | |
| 5. | | | | ა | | | | | |
| 6. | | | | ტ | | | | | |
| | 7. | | | ი | | | | | |
| | 8. | | | კ | | | | | |
| 9. | | | | ა | | | | | |

1. ნივთის სინონიმი;
2. კითხვითი ნაცვალსახელი;
3. მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოხატავს როგორია არსებითი სახელი;
4. რიგით მეორე ბრუნვა;
5. მეტყველების ნაწილი, რომელსაც დაესმის კითხვა „რა ქნა“?
6. შეისწავლის სასვენი ნიშნების დანეროლობას;
7. დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული;
8. სიტყვების ან წინადადებების დამაკავშირებელი მეტყველების ნაწილი;
9. მეტყველების ნაწილი, რომელსაც ვიყენებთ ნებისმიერი სახელის ნაცვლად.

შევეცადეთ, გაგვეხსენებინა ნასწავლი მასალა, რათა ახლა არ გაგიჭირდეს ყველაზე მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილის შესწავლა.

ნეტავ, რომელია ათი მეტყველების ნაწილიდან უმთავრესი და, რაც მთავარია, რატომ? ამ კითხვებზე პასუხებს შემდეგ თავებში იპოვი.

დავინწყით იმით, რომ ზმნა ყველაზე მთავარია, განსაკუთრებით ქართულ ენაში, რომელშიც მას წარმოუდგენელი შესაძლებლობა და ფუნქციები აქვს.

ერთ პანანინა სიტყვას ბევრი რამის თქმა შეუძლია, მოგვითხროს ვინ, როდის, ვისი დახმარებით, ვისთვის აკეთებს რამეს... კიდევ უფრო მეტი დეტალის გამხელა შეიძლება, მაგრამ, მოდით, თანდათან მივყვეთ, თანდათან გავიცნოთ ქართული ენის ეს ყოვლისშემძლე სიტყვა, რომლის სწავლითაც, ფაქტობრივად, ენის ყველაზე მთავარ გასაღებს ჩავიგდებთ ხელთ.

ზმნა გვიჩვენებს, რას აკეთებს, რა მდგომარეობაშია საგანი და პასუხობს შემდეგ კითხვებზე: რას შვრება? (სხვადასხვა დროში: რას შვრებოდა? რა ქნა? რას იზამს? და ა. შ.) წერს, წერდა, დანერა, დანერს...

ზმნა არის დამოუკიდებელი, შეიძლება ითქვას, ყველაზე დამოუკიდებელი, და ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილი. სახელებისაგან განსხვავებით ზმნა კი არ იბრუნვის, არამედ იუღლება.

ჰო, ძალიან „დიდი უღელი“ ადგას, რადგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილია. მის გარეშე, რაც უნდა ვუცვალოთ ფორმა სხვა მეტყველების ნაწილებს, წინადადებას ვერ მივიღებთ;

„გიმნაზიაში რომ იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მოზრდილები სკამებზე სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან ატუზული“. – გაიგე რამე? რა თქმა უნდა, ვერაფერს გაიგებდი. ხვდები ხომ რატომ? დიახ, მოცემულ მონაკვეთში **ზმნები არ გვაქვს!**

ახლა ასე ვნახოთ: „გიმნაზიაში რომ **შემიყვანეს, გავცეცდი**: იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ **მენახა**. მოზრდილები სკამებზე **ისხდნენ** სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარები კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ **ატუზული**“.

ახლა ყველაფერი გასაგებია!


ტერმინი **ზმნა**, როგორც ჩანს, არაბულიდან მოდის. მისი ქართული შესატყვისია **ქმნა**, კეთება, რომლის სინონიმიცაა ზმნა – ვქენი – ვიზამ. სახელებს აქვს ორი გრამატიკული კატეგორია: რიცხვი და ბრუნება. ზმნა კი ამ კუთხით ძალიან მდიდარია, მას აქვს პირი, რიცხვი, დრო, კილო, ასპექტი, გვარი, სერიები და მწკრივები, თემა, ქცევა, კონტაქტი.

ქართულ ენაში ზმნა ორი სახის გვხვდება: ზმნის პირიანი ფორმა და საწყისი.

თუ დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ზმნა პირებს შეიწყობს და იუღლება, ხოლო სახელზმნა, საწყისი, რომლისგანაც პირიანი ფორმაა ნაწარმოები, იბრუნება. თუმცა საწყისსაც აქვს ზმნის რამდენიმე ნიშანი, ამიტომაც ჰქვია მას სახელზმნა.

| | დარბის ის | უკერავს ის მას მას | ჭამს ის მას |
|--------------------|------------------|---------------------------|--------------------|
| სახელობითი | სირბილი | კერვა | ჭამა |
| მოთხრობითი | სირბილ-მა | კერვა-მ | ჭამა-მ |
| მიცემითი | სირბილ-ს | კერვა-ს | ჭამა-ს |
| ნათესაობითი | სირბილ-ის | კერვ-ის | ჭამ-ის |
| მოქმედებითი | სირბილ-ით | კერვ-ით | ჭამ-ით |
| ვითარებითი | სირბილ-ად | კერვა-დ | ჭამა-დ |
| წოდებითი | ----- | ----- | ----- |

წაიკითხე ტექსტი „კამორა“ (ლიტერატურის სახელმძღვანელოში), ამონერე ზმნები და აქციე საწყისებად: ამოტივტივდებოდა – ტივტივი



გადახაზე ცხრილი რვეულში და შეავსე. აწარმოეთ სახელზმნისაგან ზმნა და ზმნისაგან სახელზმნა:



| სახელზმნა | ზმნა | ზმნა | სახელზმნა |
|-------------|------|------------|-----------|
| წუხილი | | ქრის | |
| შენება | | ცოცავს | |
| სიყვარული | | ამკვიდრებს | |
| გამათბობელი | | დგას | |
| სიძულვილი | | დანერეს | |
| ცახცახი | | იმტვრევა | |
| ხატვა | | დულს | |



1. როგორც გახსოვს, ზმნა აღნიშნავს საგნის მდგომარეობასა და მოქმედებას. ახლა შეეცადე, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრის „წვიმის მოყვარული კაცი“ მოცემული მონაკვეთიდან ცალ-ცალკე ამონერო მდგომარეობისა და მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები:

...მალე ყველა სახლის აივანზე იდგა ყვავილები.

განვიმდებოდა, გაიშლებოდნენ ყვავილები და თითქოს უცებ განათდებოდა ქალაქი.

სულ სხვადასხვა შეფერილობის იყვნენ ყვავილები: ზოგი – ნითელი, ზოგი – მწვანე, ზოგი – ჭრელი, ზოგი ქობიანი იყო, ზოგი – კოპლებიანი და კიდევ ვინ მოთვლის, როგორი. მოხატულები ათასნაირად. ლამაზად აფრქვევდნენ სურნელებას;

მოდოდა წვიმა.

კრფდნენ ბავშვები ცისფერი ყვავილის დაცვენით, გამჭვირვალე მარცვლებს.

ემატებოდა ყვავილები პატარა ქალაქს და ქალაქი ერთ დიდ თაიგულს ემგვანებოდა.

იდგა ბედნიერი კაცი წვიმაში.

მერე ქალაქის ქალიშვილებმა, აი, რა მოიგონეს. რომ განვიმდებოდა, აილებდნენ ქოთნებს და ქუჩაში გამოჰქონდათ ყვავილები.

დაატარებდნენ ყვავილებს, უღიმოდნენ ერთმანეთს.

მკერდზე იხუტებდნენ ქოთანს, მათ თავს ზემოთ კი ყვავილები იყო გაშლილი.

ეს ყვავილები იყო პირველი ქოლგები ამქვეყნად.


დადიოდნენ ქალიშვილები წვიმაში, მოხიბლულები ქოლგა-ყვავილზე წვიმის წვეთების კაკუნით.

მერე მათ ხნიერმა ქალებმაც მიჰბადეს და პატარა გოგონებმაც, – ვისაც კი ქოთნის აწევა შეეძლო, ყვავილებს დაატარებდა წვიმაში


დიდებული სანახავი იყო წვიმა პატარა ქალაქში.

| მდგომარეობა | მოქმედება |
|-------------|--------------|
| იდგა | განვიმდებოდა |

2. წაიკითხე რატი ამალლობელის ლექსი „ყოფნა ზმნა“ და ამოწერე ზმნის პირიანი ფორმები და სანყისები:



ყოფნა ქმნა ქონა ყოლა
 სახლში ყოფნა
 სახლის ქმნა
 სახლის ქონა
 შენი ყოფნა
 შენი ქმნა
 შენი ყოლა
 ყოფნა ქმნა ქონა ყოლა
 რაც არის მე მაქვს
 რაც არ არის მე ვქმნი
 მე ვქმნი რაც არ მაქვს
 ქმნა არ ყოფნა
 მე არ მყოფნის შენი ყოფნა
 მე გქმნი
 მე არ მინდა ქმნილის ქონა
 მე გჩუქნი შენსავე თავს
 მუდმივად გქმნი და მუდმივად გჩუქნი
 მე შენ არ მყავ-ხარ
 მე შენ მიყ-ვარ-ხარ.



დაიმახსოვრე და დაწერე

ერთად:
 სხვადასხვა, იმდროინდელი, ციხესიმაგრე, არაერთი
 (მაგრამ არა ერთი და ორი);

ცალ-ცალკე:
 რა თქმა უნდა, არა მარტო, დღითი დღე, უფრო და უფრო;

დეფისით:
 ციხე-კოშკი, ციხე-დარბაზი, აღათ-წესები, ერთ-ერთი;

ზმნის დრო, კილო, რიცხვი

რა არის დრო? გიფიქრია ამაზე? დრო ურთულესი ფილოსოფიური კატეგორიაა, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ის არ არსებობს, მხოლოდ ჩვენ, ადამიანებს, გვაქვს მისი განცდის უნარი, ზოგიერთისთვის ის რეალური, არსებული ცნებაა.

ფილოსოფიური მსჯელობა დროებით გადავდოთ და გრამატიკულ დროზე ვისაუბროთ.

მე მოვალ შენთან გუშინ ან შარშან,
შენ მოხვალ ჩემთან ხვალ ან გაისად,
როცა კვირტები დაიწყებს გაშლას,
როცა ხეხილი ნაყოფს დაისხამს;

როცა მე და შენ იმდენად დაგვლლის
ამქვეყნად ჩვენი როლის თამაში,
რომ მე დაგითქვამ შეხვედრის ადგილს
სადმე წარსულში ან მომავალში.

ეს მიხეილ ქვლივიძის ძალიან საინტერესო ლექსია. თუ დააკვირდები, ყველა ზმნა მხოლოდ დროის ერთ ფორმას გამოხატავს, აბა, გამოიცანი, რომელს?

მოდი, პოეზიასაც შევეშვათ და კვლავ გრამატიკაზე ვისაუბროთ.

ჩვენ, ქართულ ენაზე მოსაუბრენი, არაფრით განვსხვავდებით სხვებისგან და ჩვენც დროის სამი ფორმა გვაქვს: **წარსული, ახლანდელი (ანმყო) და მომავალი (მყოფადი).**

ახლანდელი – ის, რაც ამ წუთში, საუბრისას ხდება.

წარსული – ის, რაც უკვე მოხდა, სანამ საუბარს დავიწყებდი.


მომავალი – ის, რაც მერე მოხდება, საუბრის შემდეგ.

დრო

წარსული
წავიკითხე

ანმყო/ახლანდელი
ვკითხულობ

მომავალი/მყოფადი
წავიკითხავ



1. მოცემულია ნაწყვეტი თანამედროვე პოეტის, გიორგი ლობჯანიძის ლექსი-დან „არაბულის მასწავლებელი“:

ვიქნები შენი არაბულის მასწავლებელი
და გასწავლი,
როგორ აუღლო
სიყვარული სამივე დროში
უმარტივესად,
რადგან არაბულს
დროის გრამატიკული კატეგორია არა აქვს
და, შესაბამისად,
არაფერი
წარსულად, აწმყოდ და მომავლად
არ ნაწილდება.

- ზმნის რომელი დროის ფორმა არ არის გამოყენებული ლექსში?
 - ა. აწმყო
 - ბ. წარსული
 - გ. მომავალი
 - დ. ყველა დრო გამოყენებულია



დროის შეგრძნება:

- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეისთვის დაგეგმილი საქმეების გაკეთება ხვალისთვის არ გადადო, მაგალითად, დღესვე დაწერე დავალება!
 - როგორია შენი დავალება? მოყევი შენი ერთი დღის შესახებ ისე, რომ სამივე დროის ფორმა გამოიყენო.

კილო

კილო – ზმნის კილო წონასთან არაა დაკავშირებული, არც – დიალექტთან. კილო გამოხატავს იმას, თუ როგორ უნდა აღვიქვათ მოქმედება. ამის მიხედვით გვაქვს: **თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილო.**

- თხრობითია კილო, როდესაც მოქმედება ნამდვილად მოხდა, ხდება ან მოხდება: ისწავლა, სწავლობს, ისწავლის.


დაუკვირდი, თხრობითი კილო რაღაცას მოგვითხრობს – ლაზარე ჩოგბურთს თამაშობს.

- კავშირებითი კილო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლებელია მომხდარიყო, ხდებოდეს ან მოხდეს (შესაძლებელია უარყოფითი ნაწილაკიც დაირთოს): რომ ესწავლა, რომ სწავლობდეს, რომ ისწავლოს, რომ არ მოსულიყო.

კარგი იქნებოდა, ლაზარეს ჩოგბურთი რომ ეთამაშა.

- ბრძანებითი კილოს დროს მთქმელი ითხოვს ან მოითხოვს თავისი სურვილის შესრულებას: ისწავლე! არ ნახვიდე! მომიტანე!

ლაზარე, ჩოგბურთი ითამაშე!



1. როგორი არ შეიძლება იყოს ზმნის კილო?

- ა. თხრობითი
- ბ. კავშირებითი
- გ. ახსნა-განმარტებითი
- დ. კითხვითი



2. მოცემულია ნაწყვეტი „ხვარამზეს ლექსიდან“, რომელ კილოშია ლექსში გამოყენებული ზმნები?

ვერცხლის თასადამც მაქცია,
რო ღვინით აგვესებოდე,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდე, შაგერგებოდე.

3. გადაიყვანე „ხვარამზეს ლექსში“ გამოყენებული ზმნები თხრობით და ბრძანებით კილოში.

რიცხვი

რიცხვი – ზმნაში ასახულია როგორც მოქმედი პირის (სუბიექტის), ისე სამოქმედო პირის (ობიექტის) მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. რიცხვში ზმნისა და პირთა ურთიერთობები დეტალურად უნდა განვიხილოთ სინტაქსში.



რვეულში გადახაზე და შეავსე ცხრილები მოცემული ნიმუშების მიხედვით:

| დრო | | |
|---------|-----------|----------|
| წარსული | ახლანდელი | მომავალი |
| წერდა | წერს | დაწერს |
| | ხატავს | |
| | | მოვა |
| | აკეთებ | |
| აქებდა | | |
| | | ააშენებს |
| ტირის | | |
| | ვმალავ | |
| | | ოცნებობ |

| კილო | | |
|----------|-------------|------------|
| თხრობითი | კავშირებითი | ბრძანებითი |
| ჩქარობს | ჩქარობდეს | დაუჩქარე |
| | | ნერე |
| აშენებს | | |
| | ვაკეთებდე | |
| | | ისწავლე |

| რიცხვი | |
|------------|------------|
| მხოლოდითი | მრავლობითი |
| ვმლერი | ვმლერთ |
| | ანუხებენ |
| ათრევ | |
| | ადგენთ |
| ლაპარაკობს | |

„გამაოცა ქართული ენის დროთა და კილოთა სიუხვემ“.

გოტფრიდ ლაიბნიცი

ზმნის პირი

სიტყვა პირი **ლექსიკურად** მომნიშობია, ანუ მას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს:

1. სამეტყველო ორგანო; 2. ადამიანი; 3. გრამატიკული პირი.

პირი – გრამატიკაში რომ სამი პირია, ვიცით:

პირველი – მე, ჩვენ – ის, ვინც საუბრობს;

მეორე – შენ, თქვენ – ის, ვისაც | პირი ესაუბრება;

მესამე – ის, ისინი – ყველა დანარჩენი.

რა არის ზმნის პირი?

პირი ზმნით გამოხატულ მოქმედებაში მონაწილე გრამატიკული ერთეულია. ასე ვთქვათ, ის, ვინც (ან რაც) რეალობად აქცევს ზმნის შინაარსს. რომ წარმოვიდგინოთ რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოები, ზმნის შინაარსი შესაძლოა ნაწარმოების იდეა იყოს, რომელიც მწერლის შთაგონებაშია, ხოლო უკვე დანერგილი ნაწარმოები, რომელსაც პერსონაჟები ჰყავს – ზმნის პირიანი ფორმებია.

პირი შეიძლება იყოს მოქმედი და სამოქმედო, ამის მიხედვით გვაქვს **სუბიექტური – S** და **ობიექტური – O** პირები.

გრამატიკული პირი სამგვარია: მოქმედების ინიციატორი არის სუბიექტური პირი, სამოქმედო პირი და ვისთვისაც ან რისთვისაც ხდება მოქმედება – ობიექტური პირია;

შევთანხმდეთ, რომ ლათინური ასოებით აღვნიშნავთ სუბიექტსა და ობიექტს. **S**-ურია მოქმედი პირი, ხოლო **O**-ური სამოქმედო (უმოქმედო), რომელიც ორი სახისაა – პირდაპირი და ირიბი.

ზმნის ფორმაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს

- მხოლოდ ერთი პირი – **გორდება ის, იწერება ის**
- ორი პირი – **აგორებს ის მას, წერს ის მას**
- სამი პირი – **უგორებს ის მას მას, მისწერა მან მას ის**

ამის მიხედვით ქართულში გვხვდება: ერთპირიანი, ორპირიანი და სამპირიანი ზმნები. ამათგან ერთი აუცილებლად სუბიექტია, დანარჩენი კი – ობიექტი.

იშვიათად, ზმნას ერთდროულად შეიძლება შეეწყოს ოთხი პირიც (დამიჩაგვრინო შენ მე ის მას, მიჭმიე შენ მე ის მას, თუმცა ამ ფორმებს თითქმის აღარ ვიყენებთ ცოცხალ ენაში).

1. რას აღნიშნავს ზმნა?
2. რამდენი სახის ზმნა გვხვდება ქართულ ენაში? დაასახელე მაგალითები;
3. შეეცადე, შენი სიტყვებით ჩამოაყალიბო და ახსნა, რას ნიშნავს სახელზმნა.
4. რა არის ზმნის პირი?
5. როგორია ზმნის ობიექტური პირი? სუბიექტური? დაასახელე მაგალითები;
6. რამდენპირიანი ზმნები გვხვდება ქართულ ენაში?





1. რვეულში გადაწერე შემოთავაზებული ზმნები, შეუწყვე პირები და განსაზღვრე მათი პირების რაოდენობა:

| | |
|-----------|-----------|
| ვტეხ | დასთხარა |
| მწერს | ფიქრობს |
| გიკეთებს | დაგიდგამს |
| ტირიან | ბერტყავს |
| წავიდა | გავრეცხე |
| დამმაღავს | შეგიკრა |

2. რვეულში გადახაზე და შეავსე ცხრილი ზმნებით, რომელთაც ამონერ ლიტერატურის სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტიდან „ეს მე ვარ, ფიროსმანი“ და დააჯგუფებ პირთა რაოდენობის მიხედვით.

ნიმუში


| ერთ-პირიანი | ორ-პირიანი | სამ-პირიანი |
|-------------|-----------------|----------------------|
| ამოვიდა ის | გაკვალეს მათ ის | მოაპკურეს მათ მას ის |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

3. მოცემულია თანამედროვე ქართველი პოეტის, ზვიად რატიანის ლექსი. ამონერე ზმნები და გაარკვიე პირთა რაოდენობა თითოეულ მათგანში.

სულ მინდა შენზე ისე ვწერო,
თითქოს არსებობ.
და ყოველთვის ისე გამომდის,
თითქოს თვითონ გამოგიგონე.

4. რომელი არ არის ერთპირიანი ზმნა?

1. თამაზი კარგად ცურავს.
2. ფეხი მეტკინა და ნაპირთან მივცურდი.
3. ამ მდინარეს უცებ გადავცურავ - ტრაბახობდა გიო.
4. დიდხანს ცურავდნენ, მერე კი სანაპიროს დასათვალიერებლად წავიდნენ.



ობიექტური პირი

ხომ გახსოვს, გრამატიკული პირი სამგვარი რომ არის: მოქმედების ინიციატორი არის სუბიექტური პირი, ხოლო სამოქმედო პირი და ვისთვისაც ან რისთვისაც ხდება მოქმედება, ობიექტური პირია;

პირდაპირია ობიექტი, რომელზეც უშუალოდ მოქმედებს სუბიექტი, ხოლო **ირიბია** – რომელიც უშუალო მოქმედების საგანი არ არის.

გაიგეთ? ვერა. აბა, ასე ვცადოთ:

გადავუგდე მე მას ის (გადავუგდე მე – კაცმა მას – კაცს ის – გასაღები).

მე რომ სუბიექტია, ცხადია, მოქმედება მან ჩაიდინა, **მას (კაცს)** ირიბი ობიექტია, რადგან ის (კაცი) კი არ გადავაგდე, **მას (კაცს)** გადავუგდე **ის (გასაღები)**, რომელიც პირდაპირი ობიექტია, **გასაღები (ის)** იყო უშუალოდ მოქმედების საგანი.

კიდევ ერთი ხერხი ვიცით ობიექტების გარჩევისა – ეს პირების ბრუნვებია. პირდაპირი ობიექტის ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი, ირიბისა კი – მხოლოდ მიცემითი. თუ ობიექტი კითხვაზე **რა ქნა?** ზმნას შეეწყობა **სახელობითი ბრუნვის ფორმით, ე. ი. პირდაპირია** (თუ ობიექტი დგას სახელობით ბრუნვაში ნულარ ინვალებზე, ე. ი. პირდაპირია), ხოლო თუ ამ კითხვის (რა ქნა?) დასმისას **მიცემით ბრუნვაში დარჩება – ირიბია**.

თუ ობიექტური პირი პირველი ან მეორე პირის ნაცვალსახელია, მას შევუნაცვლოთ არსებითი სახელი და გავიგებთ, რომელი ბრუნვა იგულისხმება და როგორია ობიექტური პირი – პირდაპირი თუ ირიბი.

ვუგდე მე (კაცი) მას (კაცს) მას (გასაღებს) – ორივე ობიექტი მიცემით ბრუნვაშია: კაცს და გასაღებს, როგორ მოვიქცეთ? დავსვათ კითხვა – **რა ვქენი?**

გადავუგდე მე (კაცმა) მას (კაცს) ის (გასაღები) – ერთი ობიექტი დარჩა მიცემით ბრუნვაში, ე. ი. **ირიბია**, მეორე ობიექტმა შეიცვალა ბრუნვა, მიცემითიდან გადავიდა სახელობით ბრუნვაში, ე. ი. **პირდაპირია**.

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტი გვაქვს.

მოვდივართ ჩვენ,

ვარდება ის,

იღვიძებ შენ.

ორპირიანში – სუბიექტი და ობიექტი (ან ირიბი, ან პირდაპირი):

წაგიყვან მე შენ;

გადააგდებს ის მას;

გააღვიძებ შენ მას;

სამპირიანში – სუბიექტი და ორი ობიექტი (ირიბიც და პირდაპირიც):

მომიყვანა მან მე ის;

გადავუგდე მე მას ის;

გაგიღვიძებ მე შენ მას.



ზმნასთან შეწყობილი სუბიექტური პირი დგას სახელობით, მოთხრობით ან მიცემით ბრუნვაში და ყოველთვის უთანდებულოა!

ცნობისათვის:


ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

• პირდაპირია ობიექტი, რომელიც ბრუნვას იცვლის. კითხვაზე **რას შვრება?** მიუგებს **მიცემითი ბრუნვის** ფორმით. მაგ., ხატავს ის მას (**კაცი სურათს**), ხოლო კითხვაზე **რა ქნა?** მიუგებს **სახელობითი ბრუნვის** ფორმით. მაგ., დახატა მან ის (**კაცმა სურათი**).

• ირიბი ობიექტი ბრუნვაუცვლელია. ის ყოველთვის **მიცემით ბრუნვაში** დგას. ემალება ის **მას (ბავშვი დედას)**, დაემალა ის **მას (ბავშვი დედას)**.



1. როგორი ობიექტია პირდაპირი? ირიბი? დაასახელე მაგალითები;
2. რომელ ბრუნვებში დგას პირდაპირი ობიექტი?
3. რომელი პირები შეენწყობა ორპირიან ზმნას? სამპირიანს? დაასახელე მაგალითები;
4. სუბიექტური პირი რომელ ბრუნვებში შეიძლება იდგეს? დაასახელე მაგალითები.




1. ამონერე მოცემული ტექსტიდან ზმნები, შეუწყვე პირები და აღნიშნე, შეწყობილ პირთაგან რომელია სუბიექტი და რომელი ობიექტი (პირდაპირი, ირიბი).

„ლედი, რომელიც ოთახში დავტოვე, დაახლოებით ოცდაცხრა წლის იქნებოდა. მეორე კი, რომელმაც წამომიყვანა, რამდენიმე წლით მასზე უმცროსი ჩანდა. პირველის ხმამ, გარეგნობამ და სახის გამომეტყველებამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მის მიღერი კი სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად წარმომიდგა; მიუხედავად ალაჟღაჟებული სახისა, გამომეტყველებაზე შეატყობდით, რომ უამრავი საზრუნავი ჰქონდა. მისი სიარული და მოქმედება კი იმ ადამიანებს მოგაგონებდათ, რომელთაც ყოველთვის აუარებელი საქმე აწუხებთ ხოლმე. გულში გადავწყვიტე, რომ ის უმცროსი მასწავლებელი უნდა ყოფილიყო და, როგორც მოგვიანებით შევნიშნე, ჩემი აზრი მართალი გამოდგა.“

2. გადაწერე წინადადებები და გადახაზე ის სიტყვები, რომლებიც ზმნას პირად არ გამოადგება:

ისვრის საბა კენჭებს მდინარეში.
თესავს გლეხი საზამთროს მინდორში.
გაშრა სარეცხი მზეზე.
დგამს ალექსანდრა ლარნაკს კარადაში.
ფცქვენის ბაბუა ვაშლს შვილიშვილისთვის.
ბერტყავს ბებია ლეიბს აივანზე.
ჩამოვიდნენ ბავშვები თბილისში.
რეცხავს დედა სარეცხს ეზოში.
აღებს გიორგი კარს ფართოდ.
ააშენა მამამ სახლი აგარაკზე.
ქრება ცეცხლი ბუხარში.
ხატავს გიორგი სურათს ფანქრით.
იხარშება სადილი ქვაბში.
შენიშნა თორნიკემ თეო შესვლისთანავე.
ესტუმრნენ ილია, ანასტასია და ელენე ბაბუას თბილისში.
მიიჩქარის ლაზარე სკოლაში.




დაიმახსოვრა

ზოგიერთ არსებით სახელს, ჩვეულებრივ, მარტო მხოლოდითი რიცხვის ფორმა აქვს, მრავლობითის ფორმა კი არ გააჩნია. ასეთებია:


1. საკუთარი სახელები (ადამიანთა, გეოგრაფიული...): ლაზარე, ლელა, თამარი, გიორგი... თბილისი, ჰიმალაი, არაგვი, საქართველო...
2. ნივთიერებათა სახელები: თაფლი, თოვლი, ლობიო, ლუდი... აგრეთვე უთვლადი სახელები: მტვერი, ხილი, ჰაერი, თმა...
3. აბსტრაქტული სახელები: სიმამაცე, სილამაზე, თავისუფლება...
4. მოქმედების სახელები, ე.ი. ზმნისაგან ნაწარმოები მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები: წერა, ხატვა, ჭრა, კერვა, დგომა, ნოლა...

გარდამავლობა

ზმნა ან **გარდამავალია**, ან **გარდაუვალი**. რას ნიშნავს ეს? თუ ზმნას შეეწყობა პირდაპირი ობიექტი, ის გარდამავალია (ობიექტი იცვლის ბრუნვის ფორმებს სახელობითსა და მიცემითში), ხოლო თუ ზმნის ობიექტი ირიბია, ასეთი ზმნა გარდაუვალია, რადგან ობიექტი მხოლოდ მიცემით ბრუნვაში დგას. ისე, ეს წესი მხოლოდ ორპირიან ზმნებთან დაგვჭირდება, რადგან **ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია, ხოლო ყველა სამპირიანი – გარდამავალი** (ხომ გახსოვს, მას ახლავს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტი).



ე. ი. თუ ორპირიანია ზმნა და კითხვაზე **რა ქნა?** ობიექტი სახელობით ბრუნვამია, ზმნა **გარდამავალია**, ხოლო თუ ობიექტი ამ კითხვაზე რჩება მიცემით ბრუნვაში, ზმნა არის **გარდაუვალი**.



თუ ზმნას პირდაპირი ობიექტური პირი ეწყობა, ის გარდამავალია (ხატავს **მას**, დახატა მან **ის**). თუ ზმნა ასეთ პირს არ შეეწყობს, ის გარდაუვალია (ემალემა ის **მას**, დაემალა ის **მას**).



1. მოცემული ზმნები გადაიყვანე „რა ქნა?“ ფორმაში და განსაზღვრე რომელი ობიექტია ბრუნვაცვალებადი და რომელი არა. რვეულში გადახაზე და შეავსე ცხრილი მოცემული ნიმუშის მიხედვით.

| ზმნა | რა ქნა | სუბიექტი | ბრუნვაცვალებადი | ბრუნვაუცვლელი |
|--------------------|--------|----------|-----------------|---------------|
| უჭრის ის მას მას | გაუჭრა | მან | ის | მას |
| ემალება ის მას | | | | |
| აშტერდება ის მას | | | | |
| გუხატავ მე მას მას | | | | |
| მიკერავს ის მე მას | | | | |
| კოცნის ის მას | | | | |
| ალაგებს ის მას | | | | |

2. რვეულში გადახაზე ცხრილი. შეუწყვე ზმნებს პირები, გაარკვიე, გარდამავალია თუ გარდაუვალი და შეავსე ცხრილი მოცემული ნიმუშის მიხედვით:

არის, მისწერა, აუფორიაქდება, დაუმალა, ეძახის, ეკითხება, ჰქვიათ, ითხოვს, ხვდება, ამოაძრო, მოდის, ვაქებ.

| გარდამავალი | გარდაუვალი |
|--------------------|------------|
| მისწერა მან მას ის | არის ის |
| | |
| | |

3. გადაინერე ქვემოთ მოცემული ტექსტი, დასვი სათანადო სასვენი ნიშნები და ამოინერე ზმნები, შეუნყვე პირები (მიუთითე, რომელია სუბიექტი და რომელი – ობიექტი).

დედა საჩუქრებს ხურჯინიდან ერთმანეთის მიყოლებით იღებს ისე რომ ღელვის ნასახიც არ ემჩნევა და ადრესატის სახელს კითხულობს. თუ რომელიმე საჩუქარს სახელი ბატ-იფეხურად ანერია ბორძიკით წარმოთქვამს და საშობაო ძღვენს მფლობელს გადასცემს.

სპირად დაშვაბული შეცდომები:

ვითარებითი ბრუნვის ნიშნები არის **-ად-** და **-დ-**, აქედან გამომდინარე, სახელების დაბოლოება იქნება **-ად-** და **-დ-**. ასევე ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები ზმნი-ზედების ბოლოს დაინერება **-დ-** და არა **-თ-**:

კაცად კარგად სამად ხუთად ცუდად ლამაზად ზეპირად

თუ ვერ ვარკვევთ **-დ-** თუ **-თ-**, დავიმახსოვროთ სახელების (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი) ბოლოს ინერება **-დ-**, ზმნიზედების ბოლოს ინერება **-თ-**, (ასევე **-თ-** ინერება ზმნის ბოლოს თუ მრ. რიცხვს გვიჩვენებს):

კარგად ვიმგზავრეთ

ალბათ მოვალთ

კარგათ ვიმგზავრეთ ————— ალბათ მოვალთ

კარგათ ვიმგზავრედ ————— ალბათ მოვალდ

-გან- თუ -დან:

თუ წინადადების წევრი, რომელსაც ეს თანდებული დაერთვის, მოგვიგებს კითხვაზე – ვისგან? რისგან? მაშინ უნდა გამოვიყენოთ **-გან-** თანდებული, ხოლო თუ მოგვიგებს კითხვაზე – საიდან? მაშინ ვიყენებთ **-დან-** თანდებულს:

ხისგან (რისგან?) სკამი გავაკეთე.

ხიდან (საიდან?) ვაშლი ჩამოვარდა.


სუბიექტური და ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

ქართულ ენაში სუბიექტურ და ობიექტურ პირებს თავიანთი ნიშანი აქვს, რომლის მიხედვითაც, ზმნას პირები საერთოდაც რომ არ შეეუწყოთ, ადვილად მივხვდებით, რომელი პირია სუბიექტი და რომელი ობიექტი (1-ლი, მე-2 თუ მე-3):

| | |
|-------------|----------------|
| ვწერ | მწერ |
| წერ | გწერ |
| წერს | მისწერს |

სუბიექტურ პირს ზმნის ფორმაში თავისი ნიშანი აქვს, ობიექტურს – თავისი. პირველი და მეორე სუბიექტურ-ობიექტური პირის ნიშნები თავსართებია (პრეფიქსები), მესამე სუბიექტური პირის ნიშნები სუფიქსებია (ბოლოსართები), ხოლო ობიექტის – პრეფიქსები:

| | |
|------------------|------------------------------|
| ვ- წერ მე | ვ- წერ- თ ჩვენ |
| წერ შენ | წერ- თ თქვენ |
| წერ- ს ის | წერ- ენ ისინი |



ჰო, კინალამ დაგვაგინყდა, ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც პირის ნიშანი დაერთვის, ფუძე ეწოდება.


მშენებლობისა და ქიმიის გარდა გრამატიკული ტერმინიც რომ არის სიტყვა ფუძე, შენთვის უცხო არ უნდა იყოს, რადგან უკვე ნასწავლი გაქვს, რომ **ფუძე** სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის მქონე ნაწილია; ასევე იცი, რა არის არსებითი სახელის, ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელის ფუძე.

აბა, გაიხსენე, რას ეწოდება არსებითი სახელის ფუძე?

დანიმასსოვრა:

ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, ზმნის ფუძე ჰქვია. მაგ., ვაკეთებთ ზმნის ფუძეა აკეთებ, ჰყავთ ზმნისა – ყავ, ვხატავდეთ ზმნისა – ხატავდე.

არ დაგავინწყდეს, პირველი სუბიექტური პირის ნიშანი აუცილებლად უნდა გამოიყენო თუ ზმნის ფუძე იწყება ხმოვანზე ან -ვ – ბგერაზე.



ვუთხარი
ვუამბე
ვოცნებობ
გავოცდი

ვვარჯიშობ
ვვარდები
ვვარცხნი
ვვითარდები

ცნობისთვის:

• მეორე სუბიექტური პირის ნიშნად **ხ** გვაქვს ორიოდ ზმნაში: ხ-არ, მო-ხ-ვალ, ნა-ხ-ვედ-ი.

• ხმოვნებისა და დანარჩენი თანხმოვნების წინ მეორე სუბიექტური პირის ნიშანი არ გვხვდება.


გახსოვდეს!

• თუ ზმნის ფუძე **ვ** თანხმონით იწყება, პირველ სუბიექტური პირის შემთხვევაში **ორი ვ** მოიყრის თავს (**ვვარჯიშობ, ვვარცხნი, ვვაჭრობ**). ერთი პირის ნიშანია, მეორე – ფუძისეული.

• I სუბიექტური პირის ნიშანი **ვ** ზმნაში იწერება **უ** და **ო** ხმოვნების წინაც (**ვუნერ, ვომობ, დავობლდი, გავოცდი**).

1. გაასწორე შეცდომები:

1. არ მეგონა, თუ მოვიდოდა, ძლიერ გაოცდი, როცა ლელა ეზოში დავინახე.
2. თავს არ ვზოგავდი, ბევრს ვარჯიშობდი.
3. ჩემს მდგომარეობას კარგად რომ დაუკვირდი, მივხვდი, მეტი აღარ შემიძლია, აღარ ვიცი, რა წყალში ჩავარდე.
4. ოთახში როგორც კი ბებო შემოვიდა, ზეზე წამოვარდი.
5. სკამზე უხერხულად დავჯექი, თავი ვერ შევიკავე, გადმოვარდი და იატაკზე დავეცი.
6. ვეცი კარს და გარეთ გამოვარდი.
7. მე ჩემს პატარა დას თმას ვარცხნიდი ხოლმე.



2. გაასწორე შეცდომები:

1. ადრეც ურჩიე, უთხარი, მაგრამ ყური არ მათხოვა.
2. დილით ადრე ვდგები, ვარჯიშობ, პირს ვიბან და ვსაუზმობ.
3. გაიგონე, რა თქვა მასწავლებელმა, შენ კი გონია, რომ შემაჯამებელი წერა ხვალ გვაქვს.
4. ბებოს თუ მარტო დასტოვებ, ეწყინება.

3. ამ ზმნებში გამოყავი პირის ნიშნები და მიუთითე, რომელია სუბიექტისა და რომელი – ობიექტის.

გხატავენ, შემანუხა, ვშავდები, ჩქარობს, გაკვალე, ჰკითხა, სთხოვს.

4. რომელი სიტყვის მრავლობითს ვერ აწარმოებ?

ა. ბევრი ბ. სიზმარი გ. წარმატება დ. ბრუნვა

5. რომელ სიტყვას ექნება მიცემით ბრუნვაში გაორმაგებული თანხმოვანი?

ა. პასუხი ბ. ბოტასი გ. ცეცხლი დ. საღამო

„ქართული საოცარი ენაა, იგი არც ერთ ევროპულ ენას არ ჩამოუვარდება“.

მარი ბროსე

მკიფე ჩართულ სიტყვებსა და გამოთქმებთან

ჩართული ჰქვია სიტყვებს, სიტყვათშეერთებებს და წინადადებებს, რომლებიც გამოხატავენ მოუბარის დამოკიდებულებას ძირითადი წინადადების მნიშვნელობასთან, იძლევიან გამონათქვამის საერთო შეფასებას, მიუთითებენ აზრის წყაროზე და ა.შ.

ჩართული არ წარმოადგენს წინადადების წევრს, არ დაესმის კითხვა, ვერ ამყარებს (ძალიანაც რომ მოინდომოს) გრამატიკულ კავშირს წინადადების წევრებთან.

ჩართული გვხვდება წინადადების თავში, ბოლოში, შუაში. გამოიყოფა მძიმით, როცა წინადადების თავშია ან ბოლოში და მძიმეებით, როცა წინადადების შუაშია მოქცეული.

- ჩართული გვიჩვენებს, რომ მთქმელი დარწმუნებულია გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში: **რასაკვირველია, რა თქმა უნდა, ცხადია, მართლაც, ბოლოს და ბოლოს...**

- აზრი მიჩნეულია საექვოდ, სათუოდ, გამოთქმულია მთქმელის ვარაუდი: **მგონი, ჩანს, ალბათ, ცოტა არ იყოს, ვინ იცის, ასე თუ ისე, ვფიქრობ...**

- ხდება რაიმე ფაქტის შეფასება, განზოგადება: **ჩვეულებრივ, როგორც წესი, როგორც ვიცით, საზოგადოდ, საერთოდ...**

- გამოხატავს მთქმელის მიერ გამოთქმული აზრის შეფასებას: **სამწუხაროდ, საბედნიეროდ...**

- მიუთითებულობა აზრის წყარო: **ჩემი აზრით, როგორც ძველად ამბობდნენ, მისი წარმოდგენით, ავტორის აზრით...**

- უჩვენებს მთქმელის დამოკიდებულებას სტილისადმი: **უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკეთ რომ ვთქვათ...**

- ჩართული სიტყვები და გამოთქმები გამოყენებულია აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით დასალაგებლად ან გვიჩვენებს დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან: **ჯერ ერთი... მეორეც, თანაც, ერთი მხრივ... მეორე მხრივ, პირველი.., მეორე.., ერთი სიტყვით, ამგვარად, ამრიგად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მოკლედ, მაგალითად, პირიქით, სხვათა შორის, სამაგიეროდ...**

1. რომელ ვარიანტშია სწორად დასმული სასვენი ნიშნები?

ა. იცით თუ არა, რომ თავის დროზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჰეკლბერი ფინის ცხოვრებისა“ და „პიტერ პენის“ ნაკითხვა აიკრძალა. მიზეზი – ბავშვებზე მათი ცუდი ზეგავლენა იყო.

ბ. იცით, თუ, არა, რომ თავის დროზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჰეკლბერი ფინის ცხოვრებისა“ და „პიტერ პენის“ ნაკითხვა აიკრძალა. მიზეზი – ბავშვებზე მათი ცუდი ზეგავლენა იყო.

გ. იცით თუ არა რომ თავის დროზე ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჰეკლბერი ფინის ცხოვრებისა“ და „პიტერ პენის“ ნაკითხვა აიკრძალა მიზეზი – ბავშვებზე მათი ცუდი ზეგავლენა იყო.



დ. იცით თუ არა, რომ, თავის დროზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში „ჰეკლბერი ფინის ცხოვრებისა“ და „პიტერ პენის“ ნაკითხვა აიკრძალა. მიზეზი – ბავშვებზე მათი ცუდი ზეგავლენა იყო.


2. რამდენი მძიმე აკლია ამ წინადადებას?

ვფიცავ რომ არასდროს გავიზრდები იმაზე დიდი რომ შემრცხვეს წვიმაში ყვავილების მორწყვა. (ასტრიდ ლინდგრენი, „პეპი გრძელიწინდა“)

- ა. 1
- ბ. 2
- გ. 3
- დ. 4

3. ნაიკითხე ამონარიდი ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტური წერილიდან და იპოვე ჩართული.

თუ ჰარმონია არ დამყარდა ენასთან, თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი ფერს და მნიშვნელობა მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, თუ ის ერთადერთი სახე ვერ ვიპოვეთ, რომელიც ჩვენს „ენობრივ ორბიტაზე“ გაგვიყვანს, ჩვენ ყალბი ვიქნებით.



ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები

ობიექტური პირის ნიშნები სამივე პირში თავსართებია. პირდაპირსა და ირიბს პირველსა და მეორე პირში ერთნაირი ნიშნები აქვს, მესამე პირში კი ირიბს აქვს ნიშანი, პირდაპირს – არა.

პირველი ობიექტური პირის ნიშანია

მხოლობითში – მ, მრავლობითში – გვ.

ა. ობიექტური პირი პირდაპირია:

მ-წერს (მე), გვ-წერს (ჩვენ), მ-ხატავს (მე), გვ-ხატავს (ჩვენ).

ბ. ობიექტური პირი ირიბია:

მ-ესალმება (მე), გვ-ესალმება (ჩვენ), მ-კითხა (მე), გვ-კითხა (ჩვენ).

მეორე ობიექტური პირის ნიშანია

გ- თავსართი ორივე რიცხვში, მრავლობით რიცხვს კი თ ბოლოსართი გამოხატავს.

ა. ობიექტური პირი პირდაპირია: გ-წერს (შენ), გ-წერ-თ (თქვენ);
გ-ხატავს (შენ), გ-ხატავ-თ (ის თქვენ, ან: მე თქვენ).

ბ. ობიექტური პირი ირიბია: გ-ესალმება (შენ), გ-ესალმება-თ (თქვენ);
გ-წერს (შენ), გ-წერ-თ (ის თქვენ, ან: მე თქვენ).

მესამე ობიექტური პირი პირველ და მეორე პირებთან შედარებით ცოტა თავნება აღმოჩნდა, ხან დაირთავს ნიშანს და ხან -არა. ეს მის ხასიათზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, ის პირდაპირია თუ ირიბი. მესამე ობიექტურ პირს, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არ უნდა; თუ ირიბია და ზმნის ფუძე თანხმონით იწყება, ჰ ან ს თავსართი ექნება ორივე რიცხვში. აქაც თავისებურებას იჩენს, ყოველთვის არ მჭირდება ნიშანით.

ისე, რა უცნაური რამ აღმოჩნდა მესამე ობიექტური პირი, მეთანხმები ხომ?

პირდაპირია და ნიშანი არ უნდა, ირიბია და ყოველთვის არ დაირთავს. მოკლედ, ეს ყველაფერი ზედმიწევნით კარგად უნდა ისწავლო, თორემ შეცდომებს ვერ გაექცევი!

კიდევ ერთხელ შეგახსენებ, მესამე ობიექტურ პირს, თუ ის პირდაპირია, ნიშანი არ უნდა; თუ ირიბია და ზმნის ფუძე თანხმონით იწყება, ჰ ან ს თავსართი ექნება ორივე რიცხვში. ესეც კარგად უნდა დაიმახსოვრო:

ს იხმარება ცხრა თანხმონის წინ (დ, ტ, თ; ძ, წ, ც; ჯ, ჭ, ჩ):

მი-ს-დევს, მო-ს-ტყდა, ს-თხოვს, მო-ს-ძახის, მი-ს-წერა, გა-ს-ცემს, გა-ს-ჯავრებია, მო-ს-ჭიდა, მი-ს-ჩერებია.

ჰ შვიდი თანხმონის წინ იხმარება (ბ, პ ფ; გ, კ, ქ; ყ):

მი-ჰ-ბაძა, მო-ჰ-პარა, მო-ჰ-ფინა, მოჰ-გვარა, ჰ-კითხა, ჰ-ქვია, მი-ჰ-ყვება.

ეს არ დაგავიწყდეს, ხმოვნის წინ მესამე ირიბი ობიექტის ნიშანი იკარგება: ეგზავნება, დაატეხა...

ქართული ზმნის პირთა ნიშნები, სამპირიანობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მოქნილობას. ქართულ ენაში მხოლოდ ზმნითაც კი შეიძლება მივხვდეთ, ვინ და რა მოქმედება შეასრულა.

პირის ნიშნების შესახებ მაგალითებს მოგიყვან, უფრო ადვილი რომ იყოს მათი გააზრება და დამახსოვრება, შეცდომებსაც ნაკლებად დაუშვებ:

1-ლი სუბიექტური პირი (S1):

მე

| | |
|------------|------------|
| ვ-გორავ | ვ-უთხარი |
| ვ-ფრინავ | ვ-ომობ |
| ვ-კისკისებ | ვ-ვარჯიშობ |

მე-2 სუბიექტური პირი (S2):

შენ

| | |
|----------|----------|
| გორავ | უთხარი |
| ფრინავ | ომობ |
| კისკისებ | ვარჯიშობ |

მე-3 სუბიექტური პირი (S3):

| | |
|----------|--------|
| გორავდ-ა | უთხრ-ა |
| ფრინავ-ს | ომობ-ს |
| შეაქ-ო | აილ-ო |

პირველი ობიექტური პირი (O1):

მხ. რიცხვი

| | |
|-------------------|---------|
| მ-მადლობს (ის მე) | მადლობს |
| მ-მალავს (ის მე) | მალავს |
| მ-მართებს (ის მე) | მართებს |
| მ-მტრობს (ის მე) | მტრობს |

-

მრ. რიცხვი

| | |
|-----------------------|-------------|
| გვგვანებია (ის ჩვენ) | გვანებია |
| გვგვრის (ის ჩვენ მას) | გვვრის |
| გვგზავნის (ის ჩვენ) | გვზავნის |
| დაგვგვიანებია | დაგვიანებია |

მესამე ირიბი ობიექტი (O3):

თუ ზნის ფუძე იწყება:

ბ, პ, ფ, გ, კ, ქ, დ, თ, ტ, ც, ძ, ნ, რ, ჭ, ჯ, ყ, აუცილებელია O3-ის ნიშანი:

| | |
|-------------------------|-----------------------|
| ჰ-პარავს | პარავს |
| მო-ჰ-ფენს (ის მას მას) | მო=ფენს (იხ-მას-მას) |
| მო-ჰ-კბერს (ის მას მას) | მო=კბერს (იხ-მას-მას) |
| ჰ-ყვარებია | ყვარებია |
| ს-დარაჯობდეს (ის მას) | დარაჯობდეს (იხ-მას) |
| შე-ს-თავაზებს | შე=თავაზებს |
| ს-ტკენია | ტკენია |

აუცილებელია: ჰგავს, ჰგონია, ჰგუობს, ჰქონდა, ჰქვია, ჰყავს...
სჭირს, სწამს, სდის, მოსწონს, სძაგს, სცხია, სცივა, სცხელა...

ობიექტური პირის ნიშნები

| პირი | პირდაპირი ობიექტი | | ირიბი ობიექტი | |
|------|-------------------|------------|---------------|------------|
| | მხ. რიცხვი | მრ. რიცხვი | მხ. რიცხვი | მრ. რიცხვი |
| I | მ----- | გვ----- | მ----- | გვ----- |
| II | გ----- | გ-----თ | გ----- | გ-----თ |
| III | ----- | ----- | ჰ,ს ----- | ჰ,ს----- |

ბახსოვლით!



• თუ ზმნის ფუძე **მ** თანხმოვნით იწყება, პირველი ობიექტური პირის მხოლოდობით რიცხვში ორი **მ** უნდა დაინეროს (მმაღავს, მმართებს, მმართავს).

• ორი **გვ** იყრის თავს პირველი ობიექტური პირის მრავლობით რიცხვში, თუ ზმნის ფუძე იწყება **გვ** თანხმოვნით (*გვევრის, დავევვიანებია*).

• ორი **გ** უნდა დაინეროს, როცა **გ** თანხმოვნით დაწყებულ ფუძეს დაერთვის მეორე ობიექტური პირის ნიშანი (*გვ ზავნის, მოგვუდავს*).

• **ჰ** და **ს** პრეფიქსები იწერება:


ა) ორპირიან გარდაუვალ ზმნებში, ე.ი. როცა ზმნას შეეწყობა ბრუნვაუცვლელი (ირიბი) ობიექტი, რომელიც ყოველთვის **მიცემით ბრუნვაში** დგას (*ჰყავს, ჰგავს, ჰგონია, სტკივა, მოსწყდა, მოსწონს, სწამს და ა.შ.*)

ბ) სამპირიან ზმნებში, რადგან მათ შეეწყობათ ირიბი ობიექტი (ბრუნვაუცვლელი) (*ჰკითხავს, მოსწყვეტს, მოჰფინა, მიჰყიდა, მოჰგვრის, მისცემს, დასძენს, მოსჭრის, დაჰპირდა...*)

გ) ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებში III ირიბობიექტური პირის აღსანიშნავად **ჰ** იწერება 7 თანხმოვნის (გ, ქ, კ, ბ, ფ, პ, ყ) წინ (*ჰკითხა, ჰქონდა, ჰყავს...*); **ს** იწერება 9 თანხმოვნის (დ, თ, ტ, ძ, ც, ნ, ჯ, რ, ჭ) წინ (*სთხოვა, მოსჭრის, მისწერს...*);

ხმოვანთა და დანარჩენი თანხმოვნების წინ ჰ და ს პრეფიქსი დაკარგულია.

• რამდენიმე შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ზმნას ირიბი ობიექტური პირი არ ახლავს, მისი ნიშანი მაინც იწერება (*გასტანს, გამოსცემს, გასცემს, გასწევს, ასწევს, სჩადის, დასძენს, დაჰყო (დრო)*).



1) გაასწორე შეცდომები და ისე გადაინერე რვეულში.

1. შენ როგორ გონია, პროექტზე მუშაობას მალე დავამთავრებთ?
2. სამწუხაროდ, გუშინ ჩვენ რომ გაკვეთილზე დაგვიანებია, დედას გაუგია.
3. – მე თუ არ დამალე, გიორგი ადვილად მიპოვის.
4. მაინცდამაინც გინდა, რომ სოფელში შენ გაგზავნონ?
5. ის ჭიშკარს მიდგომოდა და რალაცას ბუტბუტებდა.
6. ბავშვებს სიცილით თვალებიდან ცრემლი ცვიოდათ.
7. ბრბო კარის შემოტეხვას ჰლამობდა.
8. ნიკას დაღმატინელი ყავდა.
9. ნინის ჰემინგუეიზე მეტად ჰიუგო მოწონს.
10. რა აზრი ქონდა ამის გაკეთებას?

2) დააკვირდი წინადადებებში ზმნებს და იპოვე შეცდომა.

- ა. ეს სკოლა ილია წინამძღვრიშვილმა დააარსა.
- ბ. მამაჩემი ახალ გასართობ ცენტრს აარსებს.
- გ. ეს მონასტერი ქართველმა ბერებმა დაარსეს.
- დ. გიორგი დაგვიპირდა, რომ როცა წამოიზრდება, ქალაქში საუკეთესო სკოლას დააარსებს.

3) რომელი ზმნაა ერთპირიანი?

- ა. ილიმის
- ბ. ახარა
- გ. უთხრა
- დ. მიანიშნა

4) რის მიხედვით არ იცვლება ზმნა?

- ა. რიცხვის
- ბ. პირის
- გ. დროის
- დ. ბრუნვის

5) გამოიცანი ქართველი პოეტის სახელი, უპასუხე კითხვებს და შეადგინე სახელი. (გამოიყენე პასუხად მიღებული სიტყვების პირველი ასო)

- რა ჰქვია საგნის აღმნიშვნელ სახელს?
- გამოიყენება სახელის ნაცვლად, არსებობს პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი და სხვა.
- რომელია სუბიექტური პირის ნიშანი ზმნაში „დახატა“?

ზმნისწინი

რა არის ზმნისწინი? თუ გახსოვს, გითხარით, რომ ქართული გრამატიკული ტერმინოლოგია თავად გვიხსნის, რასთან გვაქვს საქმე, ლოგიკური მსჯელობით მივალთ სწორ პასუხამდე.

დიახ, ზმნისწინი არის პრეფიქსი (თავსართი), რომელიც ზმნას წინ დაერთვის და გვიჩვენებს მიმართულებას, ზმნას უცვლის მნიშვნელობას, გამოხატავს მოქმედების დასრულებას.

ზმნის წინა ნაწილს, რომელიც რამდენადმე უცვლის მას მნიშვნელობას, ზმნისწინი ჰქვია.

მიფრინავს, მოფრინავს, ფრინავს – პირველი ორი ზმნა ზმნისწინიანია, ხოლო მესამე – უზმნისწინო.

ქართულში გვაქვს 21 ზმნისწინი, აქედან 16 ახალი სახით:

ა, ამო, მი, მო, მიმო, გა, გადა, გამო, გადმო, და, შე, შემო, ჩა, ჩამო, წა, წამო

და 5 ზმნისწინი ძველი სახით:

აღ, გან, გარდა, შთა, წარ.

თანამედროვე ქართულში 16 ზმნისწინია.

მარტივი ზმნისწინებია:

მი, მო, ა, და, ჩა, შე, გა, წა

რთული ზმნისწინებია (მარტივს + მო):

მიმო, ამო, ჩამო, შემო, გამო, გადმო, წამო. ზმნისწინი **გადა** ორმარცვლიანია, მაგრამ მარტივ ზმნისწინებში შედის.

ბევრი ზმნა ზმნისწინს არ დაირთავს. ასეთებია:

უყვარს, სძულს, ცოცხლობს, ცეცხლობს, ცხოვრობს, წუხს...

ზმნისწინს 4 ფუნქცია აქვს:

1. უჩვენებს მიმართულებას (მი-აქვს, მო-აქვს, შე-აქვს...)
2. აწარმოებს დროს (წერს, და-წერა, და-წერს ...)
3. მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული სახით (ხატა, და-ხატა)
4. გამოყენებულია ახალი სიტყვის საწარმოებლად (მი-ხვდა, მო-ხვდა, შე-ხვდა)

ზოგ ზმნისწინს ძველად სხვა სახე ჰქონდა:

აღ, გან, გარდა, შთა, წარ;

ეს მათი თანამედროვე ფორმაა:

ა, გა, გადა, ჩა, წა.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენ გვაქვს ძველი სახის ზმნისწინებიც, რომლებიც ახლაც გვხვდება. ამის მიხედვით, შეიძლება ზმნები დავყოთ სამ ჯგუფად:

1. ზმნას მხოლოდ ძველი ფორმის ზმნისწინი დაერთვის:

| | |
|--------------|---------------|
| აღ-ადგენს | გარდა-მოიხსნა |
| აღ-იჭურვა | შთა-იბეჭდავს |
| გან-იხილეს | შთა-მინერგავს |
| გან-გვიმარტა | წარმო-ადგინა |
| გარდა-იცვალა | წარმო-თქვა |

2. ზმნას ორივე ფორმის ზმნისწინი დაერთვის, მაგრამ მნიშვნელობა ეცვლება:

| | |
|------------|-----------|
| აღ-იზარდა | ა-იზარდა |
| გან-აცხადა | გა-ცხადდა |
| შთა-აგონა | ჩა-აგონა |

3. ზმნას მხოლოდ ახალი სახის ზმნისწინი დაერთვის:

| | |
|---------|----------|
| წა-ვიდა | ჩა-ეყუდა |
| მი-ყიდა | და-ენია |

ზმნისწინი

აღნიშნავს მიმართულებას

1. გარედან შიგნით: შე, შემო;
2. განმეორებული მოქმედება: და;
3. დაბრკოლების გადალახვა: გადა, გადმო;
4. ზევიდან ქვევით: და, ჩა, ჩამო;
5. იქით და აქეთ მიმართულება: მი, მო, წა, წამო;
6. ქვევიდან ზევით: ა, ამო;
7. შიგნიდან გარეთ: გა, გამო.

ძველი სახით შემორჩენილი ზმნისწინები: აღ, გან, გარდა, შთა, წარ.

ზმნისწინთან დაკავშირებული მართლწერის წესები

1. როცა ზმნისწინების ძველი და ახალი სახეობა პარალელურად იხმარება, ასეთ შემთხვევაში ორივე ფორმა სწორად ითვლება – *განასხვავებს//გაასხვავებს, განათავისუფლა//გაათავისუფლა, განაცხადებს//გააცხადებს...*

2. **აღ-** ზმნისწინიან ფორმებში პირველი პირის სუბიექტური ნიშანი **ვ** ზმნისწინის შემდეგ იწერება (**აღ-ვ-ნიშნე**, **აღ-ვ-ზარდე**). არასწორია **ა-ვ-ლნიშნე**, **ა-ვ-ლწერე** (გამონაკლისია **ვ-აღ-იარებ**, **ა-ვ-აღორძინებ**).

3. **გან-** ზმნისწინთან დაკავშირებით ხშირია შეცდომა, როდესაც **წ** ელემენტს ფუძისეულად აღიქვამენ – ანთავისუფლებს, ანზოგადებს, ეს არასწორია. სწორი ფორმაა **ათავისუფლებს**, **ავითარებს//განთავისუფლება**, **განვითარება**.

4. თუ ზმნა იწყება **-ა-**თი, **ა-**ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას დაიწერება ორი **-ა-**: **გა-ახლდა**, **გა-ადვილდა**, **გა-აკეთა**, **და-არსდა**

5. სიტყვის გადატანისას ზმნისწინთან არ შეიძლება მომდევნო თანხმოვნის დატოვება: **გი-დგენს**, **ა-გზავნა**, **გან-ვითარდა**

6. თუ გვაქვს ზმნისწინის ძველი ფორმა, არ შეიძლება მისი პირის ან ქცევის (ნუ გაიკვირვე, ზმნის ქცევასაც ისწავლი) ნიშნებით გათიშვა.

1. გაასწორე შეცდომები. გაითვალისწინე, რომ ზოგიერთ წინადადებაში შეცდომა არაა:

1. ნუთუ ძველსა და ახალს ვეღარ ანსხვავებ ერთმანეთისგან?
2. მხატვრული ტექსტის ანალიზისას დეტალურად ავლწერე პერსონაჟის ხასიათი.
3. მათე ავამტყოფობის გამო სკოლიდან გაანთავისუფლეს.
4. თუ მალე გავთავისუფლდი, დეიდასთან სტუმრად წავალ.
5. ჩვენ ყოველთვის გვალფრთოვანებდა ამ გუნდის ნამღერი.
6. უნდა ავლნიშნოთ, ვინ ესწრება გაკვეთილს და ვინ არ არის.

2. შეადგინე 5 წინადადება, რომლებშიც განგებ დაუშვებ ზმნისწინის მართლწერასთან დაკავშირებულ შეცდომებს და სთხოვე თანაკლასელებს გაასწორონ შეცდომები.

3. შეადგინე 15-წინადადებიანი ამბავი, რომელშიც დაუშვებთ მორფოლოგიურ შეცდომებს. შეცდომების რაოდენობა უნდა იყოს 9.

(გაიხსენეთ კუმშვა-კვეცა, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, პირის ნიშნების მართლწერა, ზმნისწინი)



ზმნის უღლება

სერიები და მწკრივები

არ იფიქროთ, რომ ზმნის ამ კატეგორიას რაიმე კავშირი აქვს მექსიკურ ან ბრაზილიურ სერიალებთან, თუნდაც ქართულთან – არანაირი.

დაიმახსოვრე, ზმნის ფორმათა ჯგუფს, რომელიც ერთმანეთისაგან პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს აერთიანებს, მწკრივი ეწოდება, ხოლო ზმნის ცვლას მწკრივებში – უღლება.

ქართული ზმნა მდიდარია ფორმებით. ერთი ზმნა სხვადასხვაგვარად შეგვიძლია ვცვალოთ.

წერს **ბავშვი** წერილს – ის მას
 დანერა **ბავშვმა** წერილი – მან ის
 დაუნერია **ბავშვს** წერილი – მას ის

როგორც ხედავთ, მოცემული სამი ზმნა ერთმანეთისგან სუბიექტის ბრუნვით განსხვავდება – პირველ შემთხვევაში სუბიექტი სახელობით ბრუნვაშია (**ბავშვი**), მეორე შემთხვევაში – მოთხრობითში (**ბავშვმა**), მესამე – მიცემითში (**ბავშვს**).

სწორედ ეს გახდა საფუძველი ქართული ზმნის სერიებად დაყოფისა. I სერიაში ზმნები სუბიექტს სახელობით ბრუნვაში შეიწყობენ, II სერიის ზმნები – მოთხრობითში, III სერიისა – მიცემითში.

I სერია

| <i>ანმყოს წრე</i> | | | |
|-----------------------------|----------------|------------------|--------------------|
| <i>მწკრივი</i> | <i>კითხვა</i> | <i>დრო</i> | <i>კილო</i> |
| <i>ანმყო</i> | რას ვშვრები? | <i>ახლანდელი</i> | <i>თხრობითი</i> |
| <i>უნყვეტელი</i> | რას ვშვრებოდი? | <i>წარსული</i> | <i>თხრობითი</i> |
| <i>ანმყოს კავშირებითი</i> | რას ვშვრებოდე? | <i>ახლანდელი</i> | <i>კავშირებითი</i> |
| <i>მყოფადის წრე</i> | | | |
| <i>მყოფადი</i> | რას ვიზამ? | <i>მომავალი</i> | <i>თხრობითი</i> |
| <i>ხოლმეობითი</i> | რას ვიზამდი? | <i>წარსული</i> | <i>თხრობითი</i> |
| <i>მყოფადის კავშირებითი</i> | რას ვიზამდე? | <i>მომავალი</i> | <i>კავშირებითი</i> |

I სერია

ა) ანმყოს წრე

რას ვშვრები? – ვწერ, ვხატავ
 რას ვშვრებოდი? – ვწერდი, ვხატავდი
 რას ვშვრებოდე? – ვწერდე, ვხატავდე.
როგორც ხედავ, პირველ სერიაში ორი წრე გამოიყოფა – ანმყოსი და მყოფადის.

ბ) მყოფადის წრე

რას ვიზამ? – დავწერ, დავხატავ
 რას ვიზამდი? – დავწერდი, დავხატავდი
 რას ვიზამდე? – დავწერდე, დავხატავდე

II სერია

| მწკრივი | კითხვა | დრო | კილო |
|----------------|-----------|----------|-------------|
| წყვეტილი | რა ვქენი? | წარსული | თხრობითი |
| II კავშირებითი | რა ვქნა? | მომავალი | კავშირებითი |

II სერია

რა ვქენი? – დამიწერია, დამიხატავს
 რა ვქნა? – დავწერო, დავხატო
პირველ შემთხვევაში დრო წარსულია, მეორე შემთხვევაში – მომავალი.


III სერია

| მწკრივი | კითხვა | დრო | კილო |
|----------------|------------|---------|----------|
| I თურმეობითი | რა მიქნია? | წარსული | თხრობითი |
| II თურმეობითი | რა მექნა? | წარსული | თხრობითი |
| III თურმეობითი | რა მექნას? | წარსული | თხრობითი |

III სერია

რა მიქნია? – დამიწერია, დამიხატავს
 რა მექნა? – დამეწერა, დამეხატა
 რა მექნას? – დამეწეროს, დამეხატოს
მესამე სერიის თავისებურება ისაა, რომ ამ სერიაში ხდება პირის ნიშნების დანიშნულების შეცვლა, სუბიექტს (S) აქვს ობიექტის (O) ნიშანი, ობიექტს კი სუბიექტის:

ვ-წერ და მ-იწერია



1. აუღლე ზმნები: დამავინყებს, ქანაობ, ჭამს, თბები, ვჩერდები, უშენებს.

2. ამოიწერე ლიტერატურის წიგნში მოცემული ნებისმიერი ტექსტიდან ზმნის ფორმები და გაარჩიე, გამოყავი პირის ნიშნები, შეუწყვე პირები, განსაზღვრე გარდამავლობა, დრო, კილო და სერია.

ზმნის გარჩევის ნიმუში

ნიმუში: მისწერა – მი-ს-წერ-ა მან მას ის, გარდამავალი, წარსული დრო, თხრობითი კილო, II სერია, წყვეტილი.

3. ზმნასთან „უმაღლავს“ რომელ ვარიანტშია სწორად შეწყობილი პირები?

- ა. მან მას ის
- ბ. ის მას მას
- გ. ის მას
- დ. მან ის

4. რომელი პირით არის გამოხატული მოქმედება ზმნაში „გაიღიმე“?

- ა. მხოლოდითი რიცხვის პირველი პირი
- ბ. მრავლობითი რიცხვის მესამე პირი
- გ. მხოლოდითი რიცხვის მეორე პირი
- დ. მრავლობითი რიცხვის პირველი პირი

5. შემოხაზე ერთი აზრობრივად არასწორი და ერთი გრამატიკული შეცდომის შემცველი წინადადება (სულ ორი წინადადება).

- 1. ხმაურიან სიჩუმეში გიორგი და თეკლა ზურგით ისხდნენ და ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ.
- 2. გოგო და ბიჭი ერთად იჯდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ.
- 3. შეყვარებულები ერთ ოთახში ისხდნენ და პრობლემის მარტივად მოგვარების გზებს ეძებდნენ.
- 4. სიყვარულს ყველაფერი შეუძლია, ყოველთვის ასე ამბობდა დედაჩემი.

ზმნის თემა

თემა – მგონი, თავისთავად ლიტერატურული ასოციაცია ჩნდება ამ სიტყვის გაგონებისას, თუმცა ასე არ არის. აქ არც ესესა და არც საანალიზო თემის წერას გასწავლით, მაგრამ რასაც ისწავლი, დაგეხმარება, თემის წერისას შეცდომები არ დაუშვა.

ზმნის თემასა და მის ნიშნებზე უნდა ვისაუბროთ.

თემა ზმნის ის ნაწილია, რომელიც საერთოა პირველი და მეორე სერიის მწკრივებისთვის.

I სერია

ანმყოს წრე

ანმყო: რას ვშვრები?

უწყვეტელი: რას ვშვრებოდი?

ანმყოს კავშირებითი: რას ვშვრებოდე?

ვ-წერ;

ვ-თლ-ი;

ვ-ა-კეთ-ებ;

ვ-ხატ-ავ;

ვ-წერ-დ-ი;

ვ-თლ-ი-დ-ი;

ვ-ა-კეთ-ებ-დ-ი;

ვ-ხატ-ავ-დ-ი;

ვ-წერ-დ-ე;

ვ-თლ-ი-დ-ე;

ვ-ა-კეთ-ებ-დ-ე;

ვ-ხატ-ავ-დ-ე;

II სერია

წყვეტილი: რა ვქენი?

II კავშირებითი: რა ვქნა?

და-ვ-წერ-ე;

გა-ვ-თალ-ე;

გა-ვ-ა-კეთ-ე;

და-ვ-ხატ-ე;

და-ვ-წერ-ო;

გა-ვ-თალ-ო;

გა-ვ-ა-კეთ-ო;

და-ვ-ხატ-ო;

დააკვირდი, მოცემულ ზმნებში გამოუქებულია ზმნის სწორედ ის ნაწილი, რომელიც საერთოა პირველი და მეორე სერიის ყველა მწკრივისთვის. სწორედ ამ ნაწილს ეწოდება **ზმნის თემა**.

ზმნის თემას ნიშანიც აქვს, სუფიქსი, რომელიც პირველი და მეორე სერიის ზმნებს განასხვავებს ერთმანეთისგან.

თემის ნიშნებია: **-ავ, -ამ, -ებ, -ემ, -ობ, -ოფ, -ი**.

ვსვრი

ვმაღავ

არტყამ

ალაგებს

გადასცემს

აქრობს

გაყოფს

ზმნა შეიძლება იყოს **თემისნიშნისანი** ან **უთემისნიშნო**. მოცემულ ზმნებში უთემისნიშნოა **ვწერ**, ხოლო დანარჩენები თემისნიშნისანი ზმნებია.

თემა

თემის ნიშანი

თემის ნიშნები
ი, ავ, ამ, ებ, ემ, ობ,
ოფ

ვთლი, ვახერხებ,
გავცემ, გავყოფ,
ვაშრობ, ხატავს,
სვამს

უთემისნიშნო

წერს, ჭამს, ტეხს

ფუძედრეკადი

გლეჯს,
გრეხს,
კვნეტს,
წყვეტს

მართლწერის წესები

რა შეცდომები გვხვდება ზმნის თემასთან დაკავშირებით?

ავ და ამ ნიშნების აღრევა, ფუძედრეკად (გიკვირს, როგორ შეიძლება ფუძე დრეკადი იყოს? მალე გაიგებ.) და უთემისნიშნო ზმნებთან ამ ნიშნის ხმარება. გამოდის, რომ ძირითადად თემის ნიშნებს ვიყენებთ არასწორად, ამიტომ



დაიმახსოვრე:

1. თუ ზმნას პირველ სერიაში აქვს **-ავ** ან **-ამ** თემის ნიშანი, ის გადაჰყვება მესამე სერიაშიც (მესამე სერიის კითხვებია: **რა მიქნია? რა მექნა? რა მექნას?**)

მაგ: ვხატ-ავ-----დამიხატ-ავ-ს
ვიცვ-ამ-----ჩამიცვ-ამ-ს

ვკერ-ავ-----შემიკერ-ავ-ს

2. თუ ზმნის საწყისში გვაქვს დაბოლოება **-მა** ან **-ვა**, ამგვარი ზმნა ულლებისას **-ავ/-ამ** თემის ნიშანს დაირთავს.

| | |
|----------|----------------|
| მაგ. სმა | ვსვ-ამ//ვისვამ |
| ჩაცმა | ვიცვ-ამ |
| რეცხვა | ვრეცხ-ავ |
| რეკვა | ვრეკ-ავ |

3. თემის ნიშანს არ დაირთავს ზმნები, რომლებიც I სერიიდან II სერიაში გადაყვანილას **იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს**. ასეთ ზმნებს ხმოვანმონაცვლე (ფუძედრეკადი) ზმნები ჰქვია. პირველ სერიაში მათ აქვთ **ე** ხმოვანი, მეორე სერიაში – **ი**.

რას შვრება? ნმენდს

რა ქნა? განმინდა

| | | |
|--------|--------|-------------|
| დღვებს | დღვიბა | აუდღვებია; |
| ზნექს | ზნიქა | ამოუზნექია; |
| კრექს | კრიჭა | დაუკრექია. |

ამგვარ ზმნებს თემის ნიშანი არ სჭირდებათ არცერთ სერიაში. არასწორი ფორმებია: გლუჯავს, მოუკბირავს, კრუჭავს, მოკვნიტავს, მოზილავს

4. არ შეიძლება **ავ** თემის ნიშნის დართვა შემდეგი ზმნებისთვის:

იხვეჭს, ილელს, კვეთს, კვეცს, ტეხს, ყეფს, ჩეჩს, ჩეხს, ჭექს, წერს, ხეთქს, ხვენს

ეს ზმნები ფუძედრეკადები არ არის, მაგრამ თემის ნიშანს არ დაირთავს:

ილელავს, იხვეჭავს, კვეთავს, კვეცავს, ტეხავს, ყეფავს, ჩეჩავს, ჩეხავს, წერავს, ხეთქავს, ხვენავს, ჭექავს

5. დაიმახსოვრე, რომ უთემისნიშნო ზმნებს III სერიაში (კითხვა რა უქნია?) არ სჭირდება არანაირი ნიშანი:

| | |
|------------|-------------|
| გადაუღელია | გადაუღელავს |
| მოუხვეჭია | მოუხვეჭავს |
| შეუკვეთია | შეუკვეთავს |
| შეუკვეცია | შეუკვეცავს |
| გაუტეხია | გაუტეხავს |
| აუჩეჩია | აუჩეჩავს |
| დაუჩეხია | დაუჩეხავს |



1. გადაწერე წინადადებები ზმნის სწორი ფორმით.

1. არაერთხელ ალგვინიშნავს/ალგვინიშნია, რომ ამერიკას ჩვენთან პარტნიორობა სურს.
2. არქიტექტორს შესანიშნავი პროექტი დაუხაზავს/დაუხაზია.
3. ხან სად დადგამდა/დადგავდა კარადას და ხან – სად.
4. იმედია, ძალს არ დააბავ/დააბამ.
5. მებაღე წყალს უსხამდა/უსხავდა ყვავილებს.
6. აცადე, სულს მოითქვავს/მოითქვამს და მოგიყვება ყველაფერს.
7. ახლა რას გვიზამს/გვიზავს ეს აკრძალვა?
8. პატარა ლაზარეს ოთახის კედლები მოუხატიათ/მოუხატავთ.
9. ეს ჭიქა მე არ გამიტეხავს/გამიტეხია.
10. დამელოდეთ, 10 წუთში ჩავიცვამ/ჩავიცმევ და შეგხვდებით.
11. სახატავი რვეულის ფურცლებს ფხრენდა//ფხრინავდა.

2. რვეულში გადახაზე ცხრილი. დაფიქრდი, გაარკვიე და ცხრილის სათანადო გრაფაში ჩაწერე ზმნა. გამოყავი თემის ნიშნები.

დაბანა, იცხოვრა, ძოვს, გაყოფს, გააკეთა, მეფობს, მოქსოვა, გავიზარდე, დაიმტვრა, გავცემ, წერს, გორავს, დაგეშავებინა, ხარშავს, მუშაობს, ფცქენის, გასცემ.

| უთემისნიშნო | თემისნიშნისანი |
|-------------|----------------|
| | |
| | |
| | |

ზმნის კონტაქტი

კონტაქტი გვიჩვენებს, როგორი დამოკიდებულება აქვს სუბიექტს პირდაპირ ობიექტთან, ანუ ვარკვევთ სუბიექტი ობიექტზე თავად მოქმედებს თუ სხვისი მეშვეობით: ვნერ და მანერინებს.

აშკარად ჩანს, რომ პირველ შემთხვევაში (ვნერ) მე თავად, მარტო ვნერ, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ჩემი სურვილით ხდება თუ იძულებული ვარ, ვნერო, მთავარია, რომ თავად, ყველასგან დაუხმარებლად ვნერ, ანუ არავინ მჭირდება, თავად ვმოქმედებ, უშუალოდ მე მაქვს კონტაქტი ობიექტთან.

ნარმოიდგინე, რომ ადამიანს, რომელიც გიყვარს, პირდაპირ, შუამავლებისა და დამხმარების გარეშე უხსნი სიყვარულს.

მეორე შემთხვევაში (მანერ-ინ-ებს) მე სხვისი დახმარებით (თხოვნით, იძულებით, დაჟინებით, შეკვეთით ან კიდევ რა ვიცი, რატომ) ვაკეთებ საქმეს, ამიტომ ჩემსა და პირდაპირ ობიექტს შორის უშუალო კონტაქტი კი აღარ მყარდება, არამედ – შუალობითი.

ნარმოიდგინე, რომ შეყვარებულთან წერილი მეგობარს დავანერინე, სიყვარულიც მას ავახსნე ვინე და დიდი საშიშროებაა, რომ ჩემს შეყვარებულს სწორედ ჩემი მეგობარი მოეწონოს ☺)

როგორც ვნახეთ, გვაქვს უშუალო და შუალობითი კონტაქტი. ამ უკანასკნელს თავისი მანარმოებლები აქვს და მოითხოვს, გამოიყენეთო: ინ და ევინ.

უშუალო

ვხატავ

ვაშენე

აკეთებ

შლი

ჭრის

შუალობითი


ვახატვინებ

ვაშენებინებ

გაკეთებინებ

წაგაშლევინა

აჭრევინებს



რა შეცდომა გვხვდება კონტაქტთან დაკავშირებით?

1. ხშირად გვეზარება ან გვაფინყდება, რომ შუალობით კონტაქტს ნიშნები აქვს და არ ვიყენებთ ხოლმე, იმედი მაქვს, ასე აღარ მოიქცევი, აუცილებელია შუალობითი კონტაქტის ნიშნის ხმარება:


| სწორი | შეცდომა |
|--------------------------|-----------------------------------|
| ანერიებს, დაანერინა | ანერიებს, დაანერი |
| აგრეხინებს, დააგრეხინა | აგრეხიებს, დააგრეხია |
| ატეხინებს, გაატეხინა | ატეხიებს, გაატეხია |
| აშენებინებს, ააშენებინა | აშენებიებს, ააშენებია |
| აშლევინებს, გააშლევინა | აშლევებს, გააშლევია |
| ვაჭრევიებს, დავაჭრევიებს | ვაჭრევიებს, დავაჭრევიე |
| ანვენიებს, დაანვენი | ანვევიებს, დაანვენია |

2. თუ შუალობითი კონტაქტი -ავ- და -ამ- თემისნიშნისანი ზმნებისაგან არის ნაწარმოები, თემის ნიშნის ნაშთი აუცილებლად გადაჰყვება:

| | | |
|---------|--------------|--------------|
| თიბავს | ათიბვინებს | გაათიბვინა |
| ხატავს | ახატვინებს | დაახატვინა |
| აბამს | აბმევინებს | დააბმევინა |
| არტყამს | არტყმევინებს | გაარტყმევინა |
| დგამს | ადგმევინებს | დაადგმევინა |

3. შუალობითი კონტაქტის -ინ- ნიშნისანი ზოგიერთ ზმნას III სერიაში (რა ექნა? რა ექნას?) შენარჩუნებული აქვს:

| | |
|-----------------|---------------|
| აეშენებინა | დაეპატიჟებინა |
| გაეუმჯობესებინა | მოემთავრებინა |



1. მოცემულ ზმნათაგან აწარმოე საპირისპირო კონტაქტის ფორმები.

გამართა, გააბედვინა, წვაფს, აგრძნობინებს, წარმოადგენს, გმობს, გაამხნევებინა.

2. რვეულში გადახაზე ცხრილი, დაუკვირდი ქვემოთ ჩამოთვლილ ზმნებს და შეავსე ცხრილი:

აკარგვინებს, გაართვევინებს, აფარცხინებს, აკვრევინებს, აკარგინებს, შეახვევია, მოალოცვინა, აკრევინებს, აკოცნია, გაართვევინებს, დაათესია, მოალოცია, მოაკვლევინებს, შეახვევინა, დაათესინა, დააღვია, აკოცნინა, დააღვინა, აფარცხვინებს, მოაკვლევინებს.

| შეცდომაა | მართებულია |
|----------|------------|
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

გვარი

საინტერესოა, ზმნის სწავლებისას ცალკე თავად რატომ არის გამოყოფილი გვარი. ზმნას რა გვარი შეიძლება ჰქონდეს?


ზმნის გვარი მისი ფორმაა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რომ სუბიექტს ზმნით აღნიშნულ მოქმედებასთან ნაირგვარი ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს, ანუ ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს გრამატიკული სუბიექტის მიმართებას ზმნით აღნიშნულ მოქმედებასთან, გვარი ჰქვია.

1. სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე ანუ სუბიექტია მოქმედი და ზმნაც მოქმედებითი გვარისაა – აწუნებს;

2. სუბიექტზე ვილაც ან რაღაც მოქმედებს, ოღონდ არ ჩანს ვინ ან რა. ე. ი. სუბიექტი „ვნებას“ განიცდის, ასეთი ზმნა ვნებითი გვარისაა – წუნდება;

3. სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ სამოქმედო პირი (პირდაპირი ობიექტი) არ გააჩნია, ეს სუბიექტი თან მოქმედებს და თან „ვნებასაც“ განიცდის, სწორედ ამიტომ ასეთი ზმნები საშუალი გვარის არის, ფორმით – მოქმედებითი, შინაარსით კი – ვნებითი – წუნს;

გვარი ქართულში სამია: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.



დაიმახსოვრე!

- ყველა გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა;
- გარდაუვალი ზმნა შეიძლება იყოს ვნებითი ან საშუალი.

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები თუ გახსოვს? წესით, უნდა გახსოვდეს, მე მაინც შეგახსენებ: დადებითი, ოდნაობითი და უფროობითი. თუ ეს გაიხსენე, იმასაც გაიხსენებდი, რომ ზოგ ზედსართავს სამივე ფორმა ჰქონდა (დიდი-მოდიდო-უდიდესი), ზოგს კი – მხოლოდ ორი, არ შეეძლო სამივე ფორმის წარმოება (წმინდა-უწმინდესი).


ზმნასთანაც თითქმის ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს, ერთი ძირისაგან ძალზე იშვიათია სამივე გვარის ფორმათა წარმოება, ძირითადად გვაქვს ორი გვარი:

მოქმედებითი და ვნებითი
მოქმედებითი და საშუალი

აშენებს – შენდება
აკვნესებს – კვნესის

მოქმედებითი გვარი

მოქმედებითი (აქტიური) გვარის ფორმა გვიჩვენებს, რომ გრამატიკული სუბიექტი რეალურად მოქმედი პირია, რომელსაც მოეპოვება სამოქმედო ობიექტი პირდაპირობიექტური პირის სახით.



დაიმახსოვრე!

- მოქმედებითი გვარის მქონე ზმნები გარდამავალია;
- მოქმედებითი გვარის მქონე ზმნები ორპირიანი ან სამპირიანი ზმნებია;
- მოქმედებითი გვარის ფორმებს შეეწყობა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, ანუ სუბიექტი I სერიაში სახელობით ბრუნვაშია, II სერიაში – მოთხრობით ბრუნვაში, III სერიაში – მიცემით ბრუნვაში.

• მაგალითად:

I სერია – რას შვრება? აშენებს (ის მას; კაცი სახლს);

II სერია – რა ქნა? ააშენა (მან ის; კაცმა სახლი);

III სერია – რა უქნია? აუშენებია (მას ის; კაცს სახლი).

ვნებითი გვარი

ვნებითი (პასიური) გვარის ფორმა გამოხატავს, რომ გრამატიკული სუბიექტი რეალურად მოქმედი პირი არაა და ის სუბიექტური პირის ფარდის სახელია.

ვნებითი ორგვარია: სტატიკური და დინამიკური.

სტატიკური ვნებითი მოქმედების შედეგს გამოხატავს.

მაგალითად: აფენია – ეფინა, ასხია – ესხა, აცვია – ეცვა და სხვ.


დინამიკური ვნებითი გამოხატავს მოქმედების პროცესს.

აქ გამოყოფენ **ინიანი, ენიანი, დონიანი** და უნიშნო ვნებითი გვარის ფორმებს (როგორც მიხვდით, **ი, ე, დ** ვნებითი გვარის ნიშნებია).

ინიანი ვნებითი გვარის ამოსაცნობად

თუ ერთპირიან ზმნას ძირს წინ **ი-პრეფიქსი** მოუდის, იგი **ინიანი ვნებითის** ფორმაა:

ი-ზრდება (ის), ი-ხატება (ის), ი-წერება (ის)



დაიმახსოვრე!

ინიანი ვნებითი გვარის ფორმები მხოლოდ ერთპირიანი ზმნებია, ამიტომ თუ ზმნა ორ ან სამპირიანია და ძირს წინ **ი** მოუდის, ის ინიანი ვნებითის ფორმა არ იქნება.

ენიანი ვნებითი გვარის ამოსაცნობად

თუ ზმნას ძირის წინ ე- პრეფიქსი მოუდის, იგი ენიანი ვნებითის ფორმაა:

ე-ჭიდება (ის მას), ე-ხატება (ის მას).

ენიანი ვნებითები ძირითადად ორპირიანი ზმნებია.

იშვიათია ერთპირიანი ან სამპირიანი ზმნათა ვნებითი გვარის ფორმები:

ე-მზადება (ის), ე-კითხება (ის მას მას).

დონიანი ვნებითი

დონიანი ვნებითი გვარის ზმნებს **ნასახელარ ზმნებსაც** უწოდებენ. მათი უმეტესობა მართლაც სახელისგან ნაწარმოები ზმნებია: ქვა – ქვავედება; შავი – შავდება; დიდი-დიდება.

უნიშნო ვნებითი გვარის ამოსაცნობად

თუ გარდაუვალ ზმნას, რომელიც არ არის ინიანი, ენიანი ან დონიანი ვნებითი, ანმყოს მწკრივში I და II პირში მოუდის **-ები** დაბოლოება, ხოლო III პირში **-ება** დაბოლოება, უნიშნო ვნებითი გვარის ფორმა იქნება.

I სერია

ანმყოს მწკრივები (რას ვშვრები? რას შვრები? რას შვრება?)

I პირი – ვთბები

II პირი – თბები


III პირი – თბება

უნიშნო ვნებითი გვარის ზმნებია: ვდგები, ვქრები, ვტკბები, ხმება, ლღვება...

საშუალი გვარი

საშუალი (მედიალური) გვარის ფორმები გვიჩვენებს, რომ გრამატიკული სუბიექტი მოქმედებს ისე, რომ არ გააჩნია სამოქმედო ობიექტი.


მაგალითად: მეფობს ის; დგას ის.



1. მოიფიქრე ორი მოქმედებითი, რვა ვნებითი (ორი – ინიანი, ორი – ენიანი, ორი – დონიანი, ორი – უნიშნო), ორი საშუალო გვარის ზმნა და ამ ზმნების გამოყენებით შეადგინე წინადადებები ან თუ გინდა, მოთხრობაც დაწერე.

2. დაწერე სამაბზაციანი ტექსტი, სახელწოდებით „ჩემი პორტრეტი“, ისე, რომ გამოიყენო ყველაზე მეტი ვნებითი გვარის ზმნა.

3. დაწერე სამაბზაციანი ტექსტი, სახელწოდებით „ჩემი ყველაზე უცნაური თავგადასავალი“, ისე, რომ გამოიყენო ყველაზე მეტი მოქმედებითი გვარის ზმნა.



ზმნის ქცევა

ქცევის წესებისა და ეთიკის სწავლებას ნამდვილად არ ვაპირებთ, ეს გრამატიკის სფერო არ არის. ჩვენ აქ ზმნის ქცევაზე უნდა გესაუბროთ, განა იმაზე, როგორ იქცევა, ცუდად თუ კარგად, გვარცხვენს თუ გვასახელებს, არა, ამაზე არა! ზმნამ როგორ უნდა გვასახელოს ან ცუდად მოიქცეს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზმნის მართლწერის არცოდნის გამო შეიძლება შეცდომა დავუშვათ. თუმცა ამაში ზმნა კი არა, თავად ჩვენ ვიქნებით დამნაშავენი ☺)

ახლა დავუბრუნდეთ ზმნის ქცევას და დავიმახსოვროთ, **ქცევაც** ზმნის ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც სუბიექტსა და ობიექტს შორის გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებით ურთიერთობას, ანუ როგორ იქცევა სუბიექტი: უბრალოდ მოქმედებს (ვნერ), თავისთვის მოქმედებს (ვინერ) თუ სხვისთვის (გუნერ), ანუ ზმნის ქცევა გვიჩვენებს, თუ ვისთვის არის განკუთვნილი ზმნით გამოხატული მოქმედება – სუბიექტისთვის, ობიექტისთვის თუ არცერთისთვის.

ამის მიხედვით, გვაქვს სამი ქცევა: საარვისო, სათავისო, სასხვისო.

სამივე ქცევა აქვს მხოლოდ მოქმედებით გვარს, ვნებითსა და საშუალებს კი – საარვისო და სასხვისო. თითოეულ ქცევას აქვს ნიშნები:

1. საარვისო ქცევის ნიშანია – ა-, ან შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეს. გრამატიკაში უნიშნობაც ხშირად ნიშანია.

ძალიან ყურადღებით იყავი, ერთმანეთში არ აგერიოს საარვისო ქცევის ნიშანი -ა- და ზმნისწინი -ა-.

| უნიშნო | ქცევის ნიშნია | ზმნისწინია |
|--------|---------------|------------|
| ხატავს | ა-ნთებს | ა-ვიდა |
| კერავს | ა-ავადებს | ა-იტანა |
| ღებავ | ა-ქებს | ა-ვარდი |

საარვისო ქცევისას შეიძლება შეგვხვდეს ორი ან სამი -ანი-:

ა) თუ ზმნას დაერთვის ანი ან ან-ზე დამთავრებული ზმნისწინი, გვექნება ორი -ა:

ააგო, დაანერინა, ააშენა, ხოლო ამას თუ დაემატა ისიც, რომ

ბ) ზმნა იწყება -ა-ზე გვექნება სამი -ა: გააახლა, დააარსა...

2. სათავისო ქცევის ნიშანია -ი-. ეს ქცევა მხოლოდ ორპირიან გარდამავალ, ანუ მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვს:

ვ-ი-შენებ მე მას

ი-ნერ შენ მას

ი-კეთებს ის მას


-მი- ზმნისწინის დართვისას ამ ქცევის წარმოებისას მე-2 და მე-3 პირში გვექნება ორი -ი: მიიშენებ, მიითვისებს, მიიკერებს.

3. სასხვისო ქცევის ნიშნებია – ი- და -უ-.

მოქმედებითი გვარის ზმნები ამ ქცევისას სამპირიანები არიან და ნიშანი -ი- გვაქვს, როცა ირიბი ობიექტი პირველი ან მეორე პირია: მიკეთებ შენ მე მას, გიკეთებ მე შენ მას, ხოლო თუ ირიბი ობიექტი მესამე პირია სასხვისო ქცევის ნიშნად გვექნება -უ-: ვუკეთებ მე მას მას, უკეთებ შენ მას მას.


ამ ქცევის ვნებითი და საშუალები გვარის ზმნები ყოველთვის ორპირიანები არიან.

მიკეთდება ის მე, უკეთდება ის მას.



დაიმახსოვრე:

1. საარვისო ქცევისას შეიძლება შეგვხვდეს ერთად დანერვილი ორი ან სამი -ა-. დაიბენი? ახლავე ავიხსნი:
 თუ ზმნას დაერთვის ქცევის ნიშანი -ბ ან ა-ზე დამთავრებული ზმ-
 ნისნინი, გვექნება ორი -ა-, მაგალითად: ააგო, დაანერინა, ააშენა.
 ხოლო თუ ამას დაემატა ისიც, რომ ზმნა იწყება -ა-ზე, გვექნება სამი -ა-:
 გააახლა, დააარსა...
2. ხმოვნები შეიძლება განმეორდეს სათავისო ქცევის ფორმის წარმოები-
 სას. მი- ზმნისნინის დართვისას მე-2 და მე-3 პირში გვექნება ორი - ი:
 მი ი: მიიშენებ, მიითვისებს, მიიკერებს. არ შეგეშალოს!
3. თუ ზმნის ფუძე იწყება უ ხმოვნით, უ- პრეფიქსიან სასხვისო ქცევის
 ფორმებში ორი უ მოიყრის ერთად თავს: და-უ-უ-თოვა.



1. რვეულში გადახაზე ცხრილი და შეავსე დანაკლისი ფორმებით

| საარვისო | სათავისო | სასხვისო |
|------------|----------|----------|
| წერს | | |
| | | უნვავეს |
| | იგებს | |
| | იკერავს | |
| კითხულობს | | |
| გააყოლა | | |
| | | აუშენა |
| | | შეუგდო |
| | იმეორებს | |
| | | |
| | | |
| ანადგურებს | | |
| | | |
| ჩართო | | |
| | | |
| | . | |
| | მიიბნია | |

2. წაიკითხე ნაწყვეტი რეზო ინანიშვილის მოთხრობიდან „ლხინი კახეთში“.
ამოიწერე ზმნები, გარკვეიე მათი ქცევა და გამოყავი ქცევის ნიშნები.

„პოეტი ლადო ასათიანი გურჯაანელ ყმანვილ კაცს ვანო ბაჩუკაშვილს თავ-
 ისთან ყავდა მიპატიუებული. ოქტომბერი იყო, კახეთის ულამაზესი თვე.

მასპინძლების ორსართულიანი სახლი მაღლობ ადგილზე იდგა. ცისფერი
 აივანი ფართოდ გაშლილ ალაზნის ველსა და შორეულ კავკასიონს გადასცქერო-
 და. ლადო ადრე იღვიძებდა და მაშინვე აივანზე გამოდიოდა.

დილა ხომ ყველგან კარგია! მაგრამ კახეთის დილა მაინც სხვა რამედ ეჩვენე-

ბოდა. ალაზნის ველზე ლბილი ბინდი და უკიდევანო თეთრი ღრუბელი იწვა. მალ-ლიდან ის ღრუბელი მშვიდად მობალახე ცხვრის ფარას ჰგავდა; თითქო ვილაცა სალამურს უკრავსო – ნყნარად, გაგრძელებულად, მიდიოდა ეს ხმა და თან იმ ბინდსა და თეთრი ღრუბლების ფარს მიიყოლებდა. მხრებჩამოთოვლილი ლურჯი კავკასიონი ნელ-ნელა იწევდა მალლა-მალლა...”

რ. ინანიშვილი, „ლხინი კახეთში“

3. მოცემულ აბზაცში რამდენი სამპირიანი ზმნაა გამოყენებული?

„პატარა პრინცის“ გმირებს საინტერესო პროტოტიპები ჰყავთ. წიგნი მძიმე პერიოდში, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, დაწერა ეკუიუპერმა, რასაკვირველია, გვერდი ვერ აუარა ფაშიზმის თემას. სწორედ ნაცისტები გამოიყვანა ბაობაბების სახით, იმ უზარმაზარი ხეებისა, რომლებიც მის პატარა პლანეტას დალუპვით ემუქრებიან.

4. დავშალოთ ზმნა „ააშენებინა“

- ა- ზმნისწინი
- ა- ქცევის ნიშანი
- შენ- ძირი
- ინ- კონტაქტის მანარმოებელი
- ა- სუბიექტური პირის ნიშანი

რა არის „-ებ“?

- | | |
|-------------------------|--------------------|
| ა. გვარის მანარმოებელი | ბ. თემის ნიშანი |
| გ. რიცხვის მანარმოებელი | დ. მწკრივის ნიშანი |

თავისებური ზმნები

წარმოიდგინე, უამრავი თავისებურების მქონე ზმნაში (ვგულისხმობთ ზოგადად ზმნას, როგორც მეტყველების ნაწილს) კიდევ რომ გამოირჩევიან ზმნები, რომელთაც თავთავიანთი უცნაურობანი და უნიკალურობა ახასიათებთ.

უმეტესობაზე ფიქრი, მსჯელობა და მათი „საქციელის“ გაანალიზება სპეციალისტებს მივანდოთ, ჩვენ კი გავეცნოთ: დროში, რიცხვში, პირში მონაცვლე და რთულ ზმნებს.

პლატონ იოსელიანი
წერდა: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველნი არიან უკანონონი“.

დროში მონაცვლე ზმნები

ახლანდელი მომავალი წარსული

| | | |
|----------------|---------|----------------|
| არის | იქნება | იყო |
| შვება | იზამს | ქნა |
| ამბობს | იტყვის | თქვა |
| ეუბნება | ეტყვის | უთხრა |
| მიაქვს//მოაქვს | ნაიღებს | ნაილო//მოიტანა |

რიცხვში მონაცვლე

| | |
|-------------------|-------------------|
| მს. რიცხვი | მრ. რიცხვი |
| აილო | აკრიფა |
| აბია | ასხია |
| ეგდო | ეყარა |
| გააგდო | გარეკა//გაყარა |
| დევს | ანყვია |
| დასვა | დასხა |

პირში მონაცვლე

| | |
|--------|--------------|
| ადექი | აბრძანდი(თ) |
| აიღე | ინებე(თ) |
| დაჯექი | დაბრძანდი(თ) |
| ვჭამე | გეახელი(თ) |
| ჭამე | მიირთვი(თ) |
| ხარ | ბრძანდები(თ) |

რთული ზმნები

ქართულ ენაში გამოიყოფა ე.წ. რთული ზმნები. ეს ზმნები რთული შედგენილობისაა, გახსოვს, არსებით სახელებთან რთული სიტყვები (კომპოზიტები), ორი ან ორზე მეტი სიტყვის შეერთებით მიღებული ახალი სიტყვა?

ზმნებთანაც ანალოგიური სიტუაცია გვაქვს, ზმნათა ერთი ნაწილი წარმოიქმნა რთული ფუძისაგან, მეორე კი – სახელზე მეშველი ზმნის დართვით.

თუ ზმნა წარმოქმნილია რთული სიტყვისაგან, მას პირის ნიშნები (S1, O1, O2, O3) თავში (სიტყვის დასაწყისში) ექნება:

ვ-გულშემატკივრობ

ვ-თანამშრომლობ

ვ-თვალთმაქცობ

ვ-სულდგმულობ

თუ ზმნა წარმოქმნილია სახელზე დართული -ყოფს(ყო)- მეშველი ზმნით, პირის ნიშნები დაერთვის ზმნურ ნაწილს (ე.ი. შუაში გვაქვს), რადგან ზმნური შინაარსის მატარებელია მეორე ნაწილი:

სრულყოფ

უარყოფ

უგულებელყოფ


უზრუნველყოფ

უკუვაგდებ

ცხადყოფ

შეურაცხყოფ

შეურაცხგყოფ



1. დაწერე მოკლე ჩანახატი, რომელშიც გამოიყენებ ორ-ორ რიცხვში მონაცვლე, დროში მონაცვლე, პირში მონაცვლე, რთულ ზმნას. რა თქმა უნდა, შეგიძლია სხვა ზმნების გამოყენებაც (რამდენიც გინდა ☺).

2. სახელმძღვანელოში მოცემული თავისებური ზმნების გარდა, მოიფიქრე და ჩამოწერე სხვა თავისებური ზმნები და ახსენი, რატომ არიან ისინი თავისებურნი.

სტილისტიკა

სტილისტიკა სწავლობს ენის გამომხატველობით საშუალებებს, წინადადებაში სიტყვა-თა თანმიმდევრობას.

ენაში გვხვდება რამდენიმე სტილი:

1. მხატვრული
2. ოფიციალურ-საქმიანი
3. პუბლიცისტური
4. სამეცნიერო
5. სასაუბრო

თითოეულ მათგანს ახასიათებს ინდივიდუალურობა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი „თვისებები“. არ შეიძლება მათი ერთმანეთში აღრევა!

მხატვრული სტილი – შეიძლება ითქვას, რომ მწერალი თავისუფალია. მრავლად გვხვდება მხატვრული ხერხები. ნებისმიერ მწერალს თავისი სტილი აქვს, რითიც განსხვავდება სხვა ავტორებისაგან, ასევე ამით ახერხებს პერსონაჟთა ტყავში შეძრომას.

ოფიციალურ-საქმიანი – მთლიანად დაცლილია მხატვრული ხერხებისა და ემოციებისაგან. უნდა იყოს მშრალი, ლაკონიური;

პუბლიცისტური – მეტ-ნაკლებად გასაგები უნდა იყოს; მისი ფუნქციაა ინფორმირება, აგიტაცია მასობრივი კომუნიკაციის მეშვეობით (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი, ჟურნალ-გაზეთები...). პუბლიცისტური სტილისათვის დამახასიათებელია სინთეზური სტილი. მასში გვხვდება: მხატვრული, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო და სასაუბრო სტილის ელემენტები.

სამეცნიერო – მისი ფუნქციაა მეცნიერული შრომა, ანალიზი, მსჯელობა, თეზისები, რეზიუმე... ამ სტილისათვის ჭარბსიტყვაობა და ემოციური გამომხატველობითი ეფექტურობა დამახასიათებელი არ არის.

სასაუბრო – ნებისმიერი ჩვენგანის მეტყველება. სასაუბრო სტილს ძირითადად დიალოგის ფორმა აქვს. თავისუფალი და შეუზღუდავია, ამიტომ ძალიან ხშირად „არღვევს“ (არღვევინებენ) ენობრივ ნორმებს.

საუბრისას ხშირია სტილისტური შეცდომები, რომელთაც ლექსიკური სიღარიბე იწვევს. სტილისტურად გაუმართავია წინადადება თუ ენობრივი საშუალებები არ შეესაბამება გადმოსაცემ შინაარსს.

გვხვდება სხვადასხვა სახის სტილისტური ხარვეზი: **ტავტოლოგია, ბარბარიზმი, კალკი.**

ტავტოლოგია – სიტყვათა უფუნქციო გამეორებაა, ანუ როცა მთქმელი ვერ ახერხებს თავისი სათქმელის გამართულად, ნათლად გამოხატვას და უმიზნოდ იმეორებს ერთსა და იმავე სიტყვებს. ტავტოლოგია არსებობს აშკარა და ფარული.

აშკარა ტავტოლოგია წარმოიშობა ერთი და იმავე სიტყვების ან ერთნაირფეროვანი სიტყვების გამეორებით. მაგ: ბებიჩემს ეს წესი წესად აქვს დაწესებული.

ფარული ტავტოლოგიაა ერთი მნიშვნელობის მქონე ქართული და უცხოური სიტყვების თავმოყრა: მაგ: კარგი ავტორიტეტი.

დაიმახსოვრე!

ერთი ფუძით ნაწარმოები სიტყვების თავმოყრა არასასურველია. ტავტოლოგია სინონიმური სიტყვების ჩანაცვლებით შეიძლება ავიცილოთ თავიდან.

ბარბარიზმები – სიტყვები, რომელთა საჭიროებაც ენაში არ არსებობს შესაბამისი შინაარსის სიტყვის ქონის გამო. მაგ.: რუსულიდან შემოჭრილია: შკაფი, კრანი, სტოლი; ასევე ინგლისურიდან – კრეატიული, რეზულტატი, რიმიეჟი, ივენთი, უიქენდი.

კალკი – ახალი სიტყვებისა და გამოთქმების წარმოქმნა სხვა ენის ლექსიკური ერთეულების მიხედვით, სიტყვა სიტყვით თარგმნის გზით. მაგალითად კალკია:

- გაყიდვაშია მართებულია იყიდება;
- მარცხი განიცადეს – დამარცხდნენ;
- საქმე იმაშია, რომ – საქმე ისაა, რომ...
- რა კავშირშია? – რა კავშირი აქვს?
- შეცდომაში შეიყვანა – შეაცდინა;
- ზრუნვას იჩენს – ზრუნავს;
- გამოყენება აქვს – გამოიყენება.

დაიმახსოვრე!

თუ ენას გააჩნია საკუთარი ლექსიკური ერთეული და მის ნაცვლად ბარბარიზმს ან კალკირებულ ფორმას ვიყენებთ, ეს სტილისტურ ხარვეზად მიიჩნევა.

XXI საუკუნეში ქართული ენის სტილის შენარჩუნების პრობლემა საკმაოდ აქტუალურია და საუბრისას შეცდომა რომ არ დაგუშვათ, რა არის ამისთვის საჭირო? დიახ, დიახ, საჭიროა გრამატიკის შესწავლა.


1. დაწერე „ერთი დღე სკოლაში“ მხატვრული, პუბლიცისტური, ოფიციალურ-საქმიანი სტილით.

2. მოცემულ წინადადებებში იპოვე სტილისტური ხარვეზები, გაასწორე შეცდომები და ისე გადაწერე:

1. სალომემ საკუთარი ავტობიოგრაფია დაწერა.
2. ჩვენ დიდხანს ვმსჯელობდით ამ ახალი გარემოების გარშემო.
3. დროა, ეს საკითხი შესწავლილი იქნეს.
4. სამი წლის მანძილზე სულ ზღვაზე ვისვენებთ.
5. საქმე იმაშია, რომ ეს სახელმძღვანელო ყველაზე მოთხოვნადია.

3. იპოვე წინადადება, რომელშიც შეცდომაა, შემოხაზე და გაასწორე!

1. ხმამალალი შენიშვნა მოსწავლისთვის შეურანმყოფელი აღმოჩნდა.
2. ზომიერი კრიტიკა ძალიან სასარგებლოა.
3. დავითი ძალიან ხშირად კითხულობს კრიტიკულ წერილებს.
4. ზოგჯერ ყველა ბავშვს ეზარება მითითებების შესრულება



30სნავლოთ რეცენზიის წარა

რა არის რეცენზია და როგორ უნდა დავწეროთ ის? ლიტერატურული, მეცნიერული ნაშრომის, სპექტაკლის, კინოსურათის გარჩევა, კრიტიკული შეფასება.

შეეცადე, ქვემოთ მოცემული ნიმუშის მიხედვით, რვეულში დაწერო რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების რეცენზია.

სათაური

მწერლის (სახელი, გვარი) ყველაზე ცნობილი ნაწარმოები (სათაური) (მიუთითე წელი) ნელს გამოიცა. წიგნში მოთხრობილია

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები არიან:

.....

სიუჟეტი ვითარდება შემდეგნაირად:

ყველაზე მეტად მომეწონა ის ეპიზოდი, როდესაც

იმიტომ, რომ

.....

განსაკუთრებით გამოვარჩევდი....., ჩემი აზრით, იგი არის

.....

ყველაზე დაძაბული მომენტი ტექსტში არის

.....

ამ წიგნის ნაკლი, ვფიქრობ, არის ის, რომ

....., მაგრამ


ამ (მოთხრობას, ნოველას, რომანს) აქვს ბევრი ღირსება, მაგალითად ის, რომ

.....

ამიტომ ჩემს თანატოლებს ვურჩევდი ამ ნაწარმოების წაკითხვას.

დაწერე ამ სახელმძღვანელოს რეცენზია

მე რომ ამ წიგნის ავტორი ვიყო



გილოცავ სასწავლო წლის დასრულებას!
დარწმუნებულნი ვართ, ეს წელი შენთვის წარმატებული იყო, ბევრი საინტერესო რამ
ისწავლე, ბევრი რამ გაიხსენე და განამტკიცე ცოდნა.
იმედი გვაქვს, მოგეწონა ეს სახელმძღვანელო და მოუთმენლად დაელოდები
მის გაგრძელებას, მერვე კლასში უფრო მეტი სიახლე რომ შეიტყო და ისწავლო
ქართული ენის შესახებ.

შეხვედრამდე!